პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1944 წ. № 225 (7178). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს XXVII წლისთავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისას, რომელმაც დაამხო იმპერიალისტთა ძალა-უფლება ჩვენს ქვეყანაში და შექმნა მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო—სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, ხალხთა შორის მშვიდობიანობის ბურჯი!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი

## თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება

### მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად 1944 წ. 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

დღეს საბჭოთა ადამიანები დღესასწაულობენ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების XXVII წლისთავს.

ჩვენი ქვეყანა მეოთხედ ეგებება საბჭოთა რევოლუციის წლისთავს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პირობებში.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ომის მეოთხე წელი თავისი შედეგებით არ განსხვავდება ომის წინა სამი წლისაგან. პირიქით, მათ შორის ძირფესვიანი განსხვავებაა. თუ ომის წინა ორი წელი გერმანიის ჯარების შემოტევისა და ჩვენი ქვეყნის სიღრმეში მათი წინსვლის წლები იყო, როცა წითელი არმია იძულებული იყო თავდაცვითი ბრძოლები ეწარმოებინა, ხოლო ომის მესამე წელი ჩვენს ფრონტზე ძირფესვიანი გარდატეხის წელი იყო, როცა წითელმა არმიამ მძლავრი შეტევითი ბრძოლები გააჩაღა, დაამარცხა გერმანელები მთელ რიგ გადამწყვეტ ბრძოლებში, გასწმინდა გერმანელთა ჯარებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის ორი მესამედი და აიძულა ისინი თავდაცვაზე გადასულიყვნენ, ამასთან წითელი არმია ჯერ კიდევ მარტო განაგრძობდა ომს გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ისე რომ სერიოზული დახმარება არა ჰქონია მოკავშირეთა მხრივ, — ომის მეოთხე წელი აღმოჩნდა გერმანელთა ჯარებზე საბჭოთა არმიებისა და ჩვენი მოკავშირეების არმიების გადამწყვეტ გამარჯვებათა წელი, როცა გერმანელები, რომელნიც ამჯერად იძულებული გახდნენ ორ ფრონტზე ეწარმოებინათ ომი, უკუგდებულ იქნენ გერმანიის საზღვრებამდე.

შედეგად, განვლილი წელი დამთავრდა საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ბელგიის, შუა იტალიის ფარგლებიდან გერმანელთა ჯარების განდევნით და გერმანიის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების გადატანით.

## 1. გერმანია ორი ფრონტის მარწუხში

წითელი არმიის გადამწყვეტი წარმატებანი წელს და საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან გერმანელთა განდევნა წინასწარ გადაწყვიტა გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ ჩვენი ჯარების მთელმა რიგმა გამანადგურებელმა დარტყმებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ამა წლის იანვარში დაიწყო და შემდეგ მთელი საანგარიშო წლის მანძილზე გაჩაღდა.

პირველი დარტყმა ჩვენი ჯარების მიერ მიყენებულ იქნა ამა წლის იანვარში ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, როცა წითელმა არმიამ დაამსხვრია გერმანელთა ხანგრძლივი თავდაცვა და უკუაგდო ისინი ბალტიისპირეთში. ამ დარტყმის შედეგი იყო ლენინგრადის ოლქის განთავისუფლება.

მეორე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის თებერვალ-მარტში ბუგზე, როცა წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ჯარები და დნესტრს გაღმა გარეკა ისინი. ამ დარტყმის შედეგად მარჯვენა ნაპირის უკრაინა განთავისუფლებულ იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

მესამე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის აპრილ-მაისში ყირიმის რაიონში, როცა გერმანელთა ჯარები გადაყრილ იქნენ შავ ზღვაში. ამ დარტყმის შედეგად გერმანელთა ულლისაგან განთავისუფლებულ იქნა ყირიმი და ოდესა.

მეოთხე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის ივნისში კარელიის რაიონში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა ფინეთის ჯარები, გაათავისუფლა ვიბორგი და პეტროზავოდსკი და უკუაგდო ფინელები ფინეთის სიღრმეში. ამ დარტყმის შედეგი იყო კარელია-ფინეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილის განთავისუფლება.

მეხუთე დარტყმა მივაყენეთ გერმანელებს ამა წლის ივნის-ივლისში, როცა წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა გერმანიის ჯარები ვიტებსკთან, ბობრუისკთან, მოგილიოვთან და თავისი დარტყმა დაამთავრა გერმანელთა 30 დივიზიის გარშემორტყმით მინსკთან. ამ დარტყმის შედეგად ჩვენმა ჯარებმა: ა) სავსებით გაათავისუფლეს ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) მიაღწიეს ვისლას და გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე პოლონეთის მნიშვნელოვანი ნაწილი; გ) მიაღწიეს ნემანს და გაათავისუფლეს ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილი; დ) გადალახეს ნემანი და მიაღწიეს გერმანიის საზღვრებს.

მეექვსე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის ივლის-აგვისტოში დასავლეთ უკრაინის რაიონში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა ჯარები ლვოვთან და გარეკა ისინი სანსა და ვისლას გაღმა. ამ დარტყმის შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა დასავლეთი უკრაინა; ბ) ჩვენმა ჯარებმა ვისლა გადალახეს და ვისლას გაღმა შექმნეს მძლავრი პლაცდარმი სანდომირის დასავლეთით.

მეშვიდე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის აგვისტოში კიშინიოვ-იასის რაიონში, როცა ჩვენმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელ-რუმინელთა ჯარები და თავიანთი დარტყმა დაამთავრეს კიშინიოვთან გერმანელთა 22 დივიზიის გარემოცვით, რუმინელთა დივიზიები რომ არ ვიანგარიშოთ. ამ დარტყმის შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე — რუმინეთი, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიასა და უნგრეთს; გ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე — ბულგარეთი, რომელმაც აგრეთვე ომი გამოუცხადა გერმანიას; დ) ჩვენს ჯარებს გზა გაეხსნათ უნგრეთისაკენ, გერმანიის უკანასკნელი მოკავშირისაკენ ევროპაში; ე) შეიქმნა შესაძლებლობა დახმარების ხელი გაგვეწოდებინა ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიისათვის გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მერვე დარტყმა მიყენებულ იქნა ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბალტიისპირეთში, როცა წითელმა არმიამ დაამარცხა გერმანელთა ჯარები ტალინთან და რიგასთან და განდევნა ისინი ბალტიისპირეთიდან. ამ დარტყმის შედეგად: ა) განთავისუფლებულ იქნა ესტონეთის საბჭოთა რესპუბლიკა; ბ) განთავისუფლებულ იქნა ლატვიის საბჭოთა რესპუბლიკის უმეტესი ნაწილი; გ) მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანიის მოკავშირე—ფინეთი, რომელმაც ომი გამოუცხადა გერმანიას; დ) გერმანიის 30-ზე მეტი დივიზია პრუსიას მოწყვეტილი და მარწუხში მომწყვდეული აღმოჩნდა ტუკუმსსა და ლიბავას შუა მდებარე რაიონში, სადაც მათ ახლა საბოლოოდ მუსრავენ ჩვენი ჯარები. (ხანგრძლივი ტაში).

ამა წლის ოქტომბერში დაიწყო ჩვენი ჯარების მეცხრე დარტყმა უნგრეთის რაიონში მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა. ამ დარტყმის მიზანია ომიდან უნგრეთის გამოყვანა და გერმანიის წინააღმდეგ მისი მიბრუნება. ამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დარტყმის შედეგად: ა) ჩვენმა ჯარებმა პირდაპირი დახმარება გაუწიეს ჩვენს მოკავშირე იუგოსლავიას გერმანელთა განდევნისა და ბელგრადის განთავისუფლების საქმეში; ბ) ჩვენს ჯარებს შესაძლებლობა მიეცათ გადაელახათ კარპატების ქედი და დახმარების ხელი გაეწოდებინათ ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისათვის, რომლის ტერიტორიის ნაწილიც უკვე განთავისუფლებულია გერმანელ დამპყრობთაგან.

დასასრულ, ამა წლის ოქტომბრის დამლევს განხორციელებულ იქნა დარტყმა გერმანიის ჯარების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ფინეთში, როცა გერმანიის ჯარები გარეკილ იქნენ პეჩენგის რაიონიდან და ჩვენი ჯარები, სდევნიდნენ რა გერმანელებს, ჩვენი მოკავშირე ნორვეგიის ფარგლებში შევიდნენ. (ტაში).

მე არ მომყავს ციფობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოუვიდა მოწინააღმდეგეს მოკლულთა და ტყვეთა სახით ამ ოპერაციების შედეგად, ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავების, ყუმბარების, ტყვიამფრქვევებისა და ა. შ. რაოდენობის შესახებ, რომლებიც ხელთ იგდეს ჩვენმა ჯარებმა. ეს მონაცემები თქვენთვის, ალბათ, ცნობილია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების მიხედვით.

ასეთია წითელი არმიის ძირითადი ოპერაციები განვლილი წლის მანძილზე, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან გერმანელთა ჯარების განდევნა.

ამ ოპერაციების შედეგად დამარცხებულ და მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანელთა და მათ მოკავშირეთა 120-მდე დივიზია. ნაცვლად 257 დივიზიისა, რომლებიც ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ იდგნენ შარშან და რომელთაგან 207 დივიზია გერმანელებისა იყო, ახლა ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ ყველა „ტოტალური“ და „ზეტოტალური“ მობილიზაციების შემდეგ დგას სულ 204 გერმანელთა და უნგრელთა დივიზია, რომელთაგან გერმანელთა დივიზიებია სულ ბევრი 180.

უნდა ვაღიაროთ, რომ ახლანდელ ომში ჰიტლერული გერმანია და მისი ფაშისტური არმია უფრო მძლავრი, ვერაგი და გამოცდილი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, ვიდრე გერმანია და მისი არმია ყველა წინანდელ ომში. ამას უნდა დაემატოს, რომ გერმანელებმა მოახერხეს გამოეყენებინათ ამ ომში თითქმის მთელი ევროპის საწარმოო ძალები და თავიანთ ვასალურ სახელმწიფოთა საკმაოდ მნიშვნელოვანი არმიები. და თუ, მიუხედავად ომის წარმოების ამ პირობებისა, რომლებიც გერმანიისათვის ხელსაყრელი იყო, იგი მაინც გარდუვალი დაღუპვის პირას აღმოჩნდა, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგე — საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიაზე უფრო ძლიერი გამოდგა. (მქუხარე ტაში).

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში გასული წლის მანძილზე ახალ მომენტად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ წითელი არმია ამ წელს თავის ოპერაციებს გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ მარტო კი არ ეწეოდა, როგორც ეს წინა წლებში იყო, არამედ ჩვენი მოკავშირეების ჯარებთან ერთად. თეირანის კონფერენციას ამაოდ არ ჩაუვლია. თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებამ გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ერთობლივი დარტყმის შესახებ განსაცვიფრებელი სიზუსტით იწყო განხორციელება. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წითელი არმიის ზაფხულის ოპერაციებთან ერთდროულად მოკავშირეთა ჯარებმა დაიწყეს შეჭრა საფრანგეთში და მოაწყეს მძლავრი შეტევითი ოპერაციები, რომლებმაც აიძულეს ჰიტლერული გერმანია ორ ფრონტზე ეწარმოებინა ომი. ჩვენი მოკავშირეების ჯარებმა და ფლოტმა მოაწყეს ორგანიზებულობისა და მასშტაბის მხრივ ისტორიაში უმაგალითო მასობრივი სადესანტო ოპერაცია საფრანგეთის სანაპიროზე და ოსტატურად დასძლიეს გერმანელთა სიმაგრეები.

ამრიგად, გერმანია ორი ფრონტის მარწუხში მომწყვდეული აღმოჩნდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მტერმა ვერ გაუძლო წითელი არმიისა და მოკავშირეთა ჯარების ერთობლივ დარტყმებს. მტრის წინააღმდეგობა გატეხილ იქნა, მისი ჯარები მოკლე ვადაში განდევნილ იქნენ შუა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მტერი უკუგდებულ იქნა გერმანიის საზღვრებამდე.

სავსებით უეჭველია, რომ ევროპაში მეორე ფრონტის შეუქმნელად, რომელმაც გერმანელთა 75-მდე დივიზია მიიზიდა, ჩვენი ჯარები ასეთ მოკლე ვადაში ვერ შესძლებდნენ გერმანელთა ჯარების წინააღმდეგობის გატეხას და მათს განდევნას საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ წითელი არმიის ამა წლის ზაფხულის მძლავრი შეტევითი ოპერაციების გარეშე, რომლებმაც გერმანელთა 200-მდე დივიზია მიიზიდეს, ჩვენი მოკავშირეების ჯარები ვერ შესძლებდნენ ასე მალე გასწორებოდნენ გერმანელთა ჯარებს და განედევნათ ისინი შუა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის ფარგლებიდან.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გერმანია მომავალშიც ორი ფრონტის მარწუხში ვიყოლიოთ.

ეს არის გამარჯვების გასაღები.

## 2. საბჭოთა ხალხის დიდი გმირობა სამამულო ომში

თუ წითელმა არმიამ შესძლო წარმატებით შეესრულებინა თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და განდევნა გერმანელები საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან, ეს მან იმის მეოხებით განახორციელა, რომ მას თავდადებულად ეხმარებოდა ზურგიდან მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ყველა საბჭოთა ადამიანის — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თავდადებული მუშაობა, ისევე როგორც ხელმძღვანელი საქმიანობა ჩვენი სახელმწიფო და პარტიული ორგანოებისა, გასულ წელს მიმდინარეობდა დროშით — „ყველაფერი ფრონტისათვის“.

(დასასრული მე-2 გვერდზე)



## საბჭოთა კავშირის მარშალ ი. ბ. სტალინს გადაეცა ორდენი „გამარჯვება“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა გუშინ, 5 ნოემბერს, ორდენი „გამარჯვება“ გადასცა საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს, რომელიც დაჯილდოებულია განსაკუთრებული დამსახურებისათვის წითელი არმიის იმ შეტევითი ოპერაციების ორგანიზებისა და ჩატარების საქმეში, რომლებმაც გამოიწვიეს გერმანიის არმიის უდიდესი დამარცხება და მდგომარეობის ძირფესვიანად შეცვლა წითელი არმიის სასარგებლოდ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის მარშალს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს გენერლების, ოფიცრებისა და ზევადიანი სამსახურის სერჟანტთა შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად წითელ არმიაში ნამსახურობისათვის გადაეცა წითელი დროშის ორდენი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენების დასასრული

განვლილი წელი აღინიშნა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ახალი წარმატებებით, ჩვენი სამხედრო მეურნეობის ახალი აღმავლობით.

ომის მეოთხე წელს ჩვენი ქარხნები რამდენჯერმე უფრო მეტ ტანკს, თვითმფრინავს, ქვემეხს, ნაღმსატყორცნს, საომარ მასალას აწარმოებს, ვიდრე ომის დასაწყისში. უკან მოვიტოვეთ სოფლის მეურნეობის აღდგენის უმძიმესი პერიოდი. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა დონის და ყუბანის ნაყოფიერი ველები, მას შემდეგ, რაც განთავისუფლდა უკრაინა, ჩვენი სოფლის მეურნეობა სწრაფად მოიკეთა მძიმე ზარალის შემდეგ. საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტმა გაუძლო დატვირთვას, რომელსაც არა ვგონია, რომ თავს გადაიტანდეს სხვა ქვეყნის ტრანსპორტი. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი შეუდარებლად უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე მტრულ სახელმწიფოთა ეკონომიკა.

ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილმა სოციალისტურმა წყობილებამ დიადი და უძლეველი ძალა მისცა ჩვენს ხალხსა და ჩვენს არმიას. საბჭოთა სახელმწიფომ, მიუხედავად იმის მძიმე ტვირთისა, მიუხედავად გერმანელების მიერ ჩვენი ქვეყნის მეტად დიდი და ეკონომიურად დიდმნიშვნელოვანი რაიონების დროებითი ოკუპაციისა, ომის მსვლელობაში კი არ შეამცირა, არამედ წლითიწლობით აღიდებდა ფრონტის მომარაგებას საჭურვლითა და საომარი მასალით. ახლა წითელ არმიას მოეპოვება არა ნაკლები, არამედ მეტი ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი, ვიდრე გერმანელთა არმიას. რაც შეეხება ჩვენი საბრძოლო ტექნიკის ხარისხს, ამ მხრივ იგი ბევრად სჯობია მტრის შეიარაღებას. ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე. (მქუხარე ტაში). საბჭოთა ადამიანები ბევრ აუცილებელ რამეს იკლებდნენ, შეგნებულად იტანდნენ სერიოზულ მატერიალურ გაჭირვებას, რათა მეტი მიეცათ ფრონტისათვის. ახლანდელი ომის უმაგალითო სიძნელეებმა კი ვერ გასტეხეს, არამედ კიდევ უფრო გამოაწრთეს საბჭოთა ხალხის რკინისებური ნებისყოფა და მამაცური სულისკვეთება. ჩვენმა ხალხმა სამართლიანად მოიხვეჭა გმირი ხალხის სახელი.

ჩვენი მუშათა კლასი მთელ თავის ძალ-ღონეს გამარჯვების საქმეს ახმარს, განუწყვეტლივ აუმჯობესებს წარმოების ტექნიკას, ზრდის სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეს, აგებს ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა დიდი შრომითი გმირობა ჩაიდინა ახლანდელ ომში.

ჩვენი ინტელიგენცია გაბედულად მიდის ნოვატორობის გზით ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ავითარებს თანამედროვე მეცნიერებას, შემოქმედებითად იყენებს მის მიღწევებს წითელი არმიისათვის საჭურვლის წარმოებაში. საბჭოთა ინტელიგენციამ თავისი შემოქმედებითი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მტრის განადგურების საქმეში.

არმიას არ შეუძლია იომოს და გაიმარჯვოს, თუ თანამედროვე საჭურველი არა აქვს. მაგრამ მას არ შეუძლია აგრეთვე იომოს და გაიმარჯვოს უპუროდ, უსურსათოდ. წითელი არმია ომის მეოთხე წელს, კოლმეურნე გლეხობის მზრუნველობის მეოხებით, სურსათის ნაკლებობას არ განიცდის. კოლმეურნეები ამარაგებენ მუშებსა და ინტელიგენციას სურსათით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით, უზრუნველჰყოფენ ნორმალურ მუშაობას ფაბრიკა-ქარხნებისას, რომლებიც შეიარაღებასა და საჭურველს უმზადებენ ფრონტს. ჩვენი კოლმეურნე გლეხობა აქტიურად და სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობის სრული შეგნებით უწყობს ხელს წითელ არმიას მტერზე გამარჯვების მოპოვებაში.

სამუდამოდ შევა ისტორიაში შრომითი გმირობა საბჭოთა ქალებისა და ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობისა, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ძირითადი სიმძიმე ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა. სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები მამაცობასა და გმირობას იჩენენ შრომის ფრონტზე. ისინი აღმოჩნდნენ ღირსნი თავიანთი მამებისა და ვაჟიშვილებისა, ქმრებისა და ძმებისა, რომლებიც სამშობლოს იცავენ გერმანელ ფაშისტ მტარვალთაგან.

ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის, ისევე როგორც ფრონტზე ჩვენი მეომრების უკვდავი საბრძოლო გმირობის წყაროა მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას. ამაში უნდა ვხედავდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი და სულ უფრო და უფრო მტკიცე მეგობრობის საფუძვლებს. ამავე დროს სსრ კავშირის ხალხები პატივს სცემენ საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა უფლებებსა და დამოუკიდებლობას და ყოველთვის იჩენდნენ იმისათვის მზადყოფნას, რომ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდათ მეზობელ სახელმწიფოებთან. ამაში უნდა ვხედავდეთ იმის საფუძველს, რომ იზრდება და მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს ურთიერთობა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან.

საბჭოთა ადამიანებს სძულთ გერმანელი დამპყრობლები არა იმიტომ, რომ ისინი უცხო ერის ადამიანები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოუტანეს ჩვენს ხალხს და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს. ჩვენს ხალხში ძველთაგანვე ამბობენ: „მგელს იმიტომ კი არა სცემენ, რომ რუხია, არამედ იმიტომ, რომ ცხვარი შეჭამაო". (სიცილი, ხანგრძლივი ტაში).

გერმანელმა ფაშისტებმა თავის იდეოლოგიურ იარაღად აირჩიეს კაცთმოძულეობის რასობრივი თეორია იმ ანგარიშით, რომ მხეცური ნაციონალიზმის ქადაგება შეჰქმნის დამონებულ ხალხებზე გერმანელ დამპყრობთა ბატონობის მორალურ-პოლიტიკურ წინაპირობებს. მაგრამ რასობრივი სიძულვილის პოლიტიკა, რომელსაც ჰიტლერელები ატარებენ, სინამდვილეში გერმანელ ფაშისტთა სახელმწიფოს შინაგანი სისუსტისა და საგარეო-პოლიტიკური იზოლაციის წყარო გახდა. რასობრივი სიძულვილის იდეოლოგია და პოლიტიკა ჰიტლერული ავაზაკური ბლოკის დაშლის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს. არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ აღსდგნენ არა მარტო დამონებული ხალხები საფრანგეთისა, იუგოსლავიისა, პოლონეთისა, ჩეხოსლოვაკიისა, საბერძნეთისა, ბელგიისა, დანიისა, ნორვეგიისა, ჰოლანდიისა, არამედ ჰიტლერის ყოფილი ვასალებიც — იტალიელები, რუმინელები, ფინელები, ბულგარელები. ჰიტლერულმა ხროვამ თავისი კაციჭამიური პოლიტიკით აამხედრა გერმანიის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა ხალხი, ხოლო ეგრეთწოდებული „რჩეული გერმანული რასა" საყოველთაო სიძულვილის საგანი გახდა.

ომის მსვლელობაში ჰიტლერელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ, ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე.

ახლა, როდესაც სამამულო ომი ძლევამოსილი დასასრულისაკენ მიდის, მთელი სიდიადით იჩენს თავს საბჭოთა ხალხის ისტორიული როლი. ახლა ყველა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა თავისი თავდადებული ბრძოლით იხსნა ევროპის ცივილიზაცია ფაშისტ დამრბევთაგან. ეს არის საბჭოთა ხალხის დიდი დამსახურება კაცობრიობის ისტორიის წინაშე.

## 3. გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის ფრონტის განმტკიცება და გაფართოება. მშვიდობიანობისა და უშიშროების საკითხი

განვლილი წელი იყო წელი გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის საერთო საქმის გამარჯვებისა, რომლისთვისაც საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები საბრძოლო კავშირში გაერთიანდნენ. ეს იყო ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ სამი ძირითადი სახელმწიფოს მოქმედების ერთიანობისა და შეთანხმებულობის განმტკიცების წელი.

თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილება გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ და ამ გადაწყვეტილების ბრწყინვალე რეალიზაცია ანტიჰიტლერული კოალიციის ფრონტის განმტკიცების ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია. ისტორიაში ცოტა მოიპოვება საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ დიდი სამხედრო ოპერაციების გეგმა, რომელიც ისეთი სისრულითა და სიზუსტით განხორციელებულიყოს, როგორც განხორციელდა თეირანის კონფერენციაზე გამომუშავებული გეგმა გერმანიის წინააღმდეგ ერ- [illegible] გადაწყვეტილების წარმატებით განხორციელებას არ შეიძლებოდა ხელი არ შეეწყო გაერთიანებულ ერთა ფრონტის განმტკიცების საქმისათვის.

გაერთიანებულ ერთა ფრონტის სიმტკიცის ასევე მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის გადაწყვეტილებებიც ომის შემდეგ უშიშროების ორგანიზაციის საკითხზე. ლაპარაკობენ სამი სახელმწიფოს აზრთა სხვადასხვაობაზე უშიშროების ზოგიერთი საკითხის შესახებ. აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, არის და იგი კიდევ იქნება მთელ რიგ სხვა საკითხებზეც. აზრთა სხვადასხვაობა ერთი და იმავე პარტიის ადამიანებს შორისაც კი არის ხოლმე. მით უმეტეს უნდა იყოს იგი სხვადასხვა სახელმწიფოთა და სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს შორის. ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, არამედ ის, რომ ეს სხვადასხვაობა ასე ცოტაა და რომ იგი, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის [illegible] საბოლოო ანგარიშით ამ ერთიანობის ინტერესთა შესაბამისად სწყდება. ცნობილია, რომ აზრთა უფრო სერიოზული სხვადასხვაობა ჩვენ გვქონდა მეორე ფრონტის გახსნის საკითხზე. მაგრამ ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ეს აზრთა სხვადასხვაობა ბოლოს და ბოლოს სრული თანხმობის სულისკვეთებით გადაწყდა. იგივე შეიძლება ითქვას აზრთა სხვადასხვაობის შესახებ დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე. ამ კონფერენციის დამახასიათებელი ის კი არ არის, რომ იქ გამომჟღავნდა აზრთა ზოგიერთი სხვადასხვაობა, არამედ ის, რომ უშიშროების საკითხთა ცხრა მეათედი ამ კონფერენციაზე სრული ერთსულოვნობის სულისკვეთებით გადასწყდა. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ დუმბარტონ-ოქსის კონფერენციის გადაწყვეტილებანი უნდა განვიხილოთ როგორც გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის ფრონტის სიმტკიცის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი.

გაერთიანებულ ერთა ფრონტის განმტკიცების კიდევ უფრო მკაფიო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურ ბ-ნ ჩერჩილთან და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ იდენთან მოსკოვში ამას წინათ შემდგარი მოლაპარაკება, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში და სრული ერთსულოვნობის სულისკვეთებით ჩაიარა.

ომის მთელ მანძილზე ჰიტლერელები სასოწარკვეთილ ცდებს მიმართავდნენ, რათა გაეთიშათ და ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ გაერთიანებული ერები, გამოეწვიათ მათ შორის ეჭვიანობა და შუღლი, შეესუსტებინათ მათი სამხედრო ღონისძიებანი ურთიერთუნდობლობით, ხოლო თუ მოხერხდებოდა — ერთმანეთთან ბრძოლითაც. ჰიტლერელ პოლიტიკოსთა ასეთი მისწრაფებანი სავსებით გასაგებია. მათთვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი საფრთხე, ვიდრე გაერთიანებულ ერთა ერთიანობა ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მათთვის არ იქნებოდა იმაზე უფრო დიდი სამხედრო-პოლიტიკური წარმატება, ვიდრე მოკავშირე სახელმწიფოთა გათიშვა მათს ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ცნობილია, თუ რაოდენ ამაო აღმოჩნდა ფაშისტი პოლიტიკოსების მეცადინეობა ჩაეშალათ დიდ სახელმწიფოთა კავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კავშირს საფუძვლად უდევს არა შემთხვევითი და წარმავალი მოტივები, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობისა და ხანგრძლივი ინტერესები.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ თუ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საბრძოლო კავშირმა სამ წელიწადზე მეტი ხნის ომის განსაცდელს გაუძლო და თუ იგი განმტკიცებულია თავიანთი თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად დარაზმულ ხალხთა სისხლით, მით უფრო მეტად გაუძლებს ეს კავშირი ომის საბოლოო სტადიის განსაცდელს. (ხანგრძლივი ტაში).

მაგრამ განვლილი წელი იყო არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოთა გერმანიის საწინააღმდეგო ფრონტის განმტკიცების წელი, არამედ ამ ფრონტის გაფართოების წელიც. შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ იტალიის შემდეგ ომიდან გამოყვანილ იქნენ გერმანიის სხვა მოკავშირეებიც — ფინეთი, რუმინეთი, ბულგარეთი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელმწიფოები არა თუ გამოვიდნენ ომიდან, არამედ კავშირიც გასწყვიტეს გერმანიასთან, ომი გამოუცხადეს მას და ამრიგად მიემხრნენ გაერთიანებულ ერთა ფრონტს. ეს უეჭველად ნიშნავს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ გაერთიანებულ ერთა ფრონტის გაფართოებას. სავსებით უეჭველია, რომ გერმანიის უკანასკნელი მოკავშირე ევროპაში — უნგრეთი აგრეთვე გამოყვანილ იქნება მწყობრიდან უახლოეს ხანში. ეს იქნება მომასწავებელი ჰიტლერული გერმანიის სრული იზოლაციისა ევროპაში და მისი კრახის გარდუვალობისა.

გაერთიანებული ერები ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილი დაგვირგვინების წინაშე დგანან.

გერმანიასთან ომს გაერთიანებული ერები მოიგებენ, — ეს ახლა უკვე სავსებით უეჭველია.

გერმანიასთან ომის მოგება ნიშნავს დიდი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება კიდევ არ ნიშნავს ხალხთათვის მომავალში მტკიცე მშვიდობიანობის და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ომი მოვიგოთ, არამედ ისიც, რომ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელი გავხადოთ, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც.

გერმანიის დამარცხების შემდეგ იგი, რა თქმა უნდა, განიარაღებულ იქნება, როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო-პოლიტიკური მხრივ. მაგრამ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ იგი არ შეეცდება აღადგინოს თავისი ძლიერება და გააჩაღოს ახალი აგრესია. ყველასთვის ცნობილია, რომ გერმანიის მესვეურები უკვე ახლა ემზადებიან ახალი ომისათვის. ისტორია გვიჩვენებს, რომ საკმარისია მოკლე პერიოდი — 20-30 წელი, რომ გერმანია წელში გასწორდეს დამარცხების შემდეგ და სიმძლავრე აღიდგინოს. რა საშუალებები მოიპოვება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანიის მხრივ, ხოლო თუ ომი მაინც ატყდა, — დასაწყისშივე ჩავახშოთ იგი და საშუალება არ მივცეთ გადაიქცეს დიდ ომად?

[illegible] ჩვეულებრივ აგვიანებენ მისთვის მომზადებას. ფაქტია, რომ აგრესიულ ერებს ახლანდელ ომში ჯერ კიდევ ომის დაწყების წინ უკვე გამზადებული ჰყავდათ შეჭრის არმია, მაშინ როდესაც მშვიდობისმოყვარე ერებს მობილიზაციის დამფარველი არმიაც კი არ ჰყავდათ სავსებით დამაკმაყოფილებელი. შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი არასასიამოვნო ფაქტები, როგორც „ინციდენტი" პირლ-ჰარბორში, ფილიპინებისა და სხვა კუნძულების დაკარგვა დიდ ოკეანეში, ჰონკონგისა და სინგაპურის დაკარგვა, როდესაც იაპონია, როგორც აგრესიული ერი, უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ადგნენ. არ შეიძლება აგრეთვე შემთხვევითობად ჩაითვალოს ისეთი არასასიამოვნო ფაქტი, როგორც უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის დაკარგვა ომის პირველსავე წელს, როდესაც გერმანია, როგორც აგრესიული ერი, უფრო მომზადებული აღმოჩნდა ომისათვის, ვიდრე მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირი. გულუბრყვილობა იქნებოდა ამ ფაქტების ახსნა იაპონელთა და გერმანელთა პირადი თვისებებით, მათი უპირატესობით ინგლისელების, ამერიკელების, რუსების წინაშე, მათი წინდახედულობით და ა. შ. საქმე აქ პირადი თვისებები კი არ არის, არამედ ის, რომ ახალი ომით დაინტერესებული აგრესიული ერები, როგორც ისეთი ერები, რომლებიც ომისათვის ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ემზადებიან და საამისოდ ძალებს აგროვებენ, ომისათვის ჩვეულებრივ უფრო მომზადებული არიან ხოლმე — და უნდა იყვნენ კიდეც, ვიდრე მშვიდობისმოყვარე ერები, რომლებიც ახალი ომით დაინტერესებული არ არიან. ეს ბუნებრივი და გასაგებია. ეს, თუ გნებავთ, — ისტორიული კანონზომიერებაა, რომლისთვისაც ანგარიშის გაუწევლობა საშიში იქნებოდა.

მაშასადამე, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მშვიდობისმოყვარე ერებს მომავალში შესაძლოა კვლავ მოუმზადებელს მოუსწროს აგრესიამ, თუ, რა თქმა უნდა, მათ ახლავე არ გამოიმუშავეს სპეციალური ზომები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება აგრესიის თავიდან აცილება.

ამრიგად, რა საშუალებები მოიპოვება იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი აგრესია გერმანიის მხრივ, ხოლო თუ ომი მაინც ატყდა, — დასაწყისშივე ჩავახშოთ იგი და საშუალება არ მივცეთ გადაიქცეს დიდ ომად?

ამისათვის, გარდა აგრესიული ერების სრული განიარაღებისა, არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება: შეიქმნას მშვიდობიანობის დაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფის სპეციალური ორგანიზაცია მშვიდობისმოყვარე ერების წარმომადგენელთაგან, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს განკარგულებაში გადაცემულ იქნას აგრესიის თავიდან აცილებისათვის მინიმალურად საჭირო რაოდენობა შეიარაღებული ძალებისა და დაევალოს ამ ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში — დაუყოვნებლივ გამოიყენოს ეს შეიარაღებული ძალები აგრესიის თავიდან ასაცილებლად თუ სალიკვიდაციოდ და აგრესიის დამნაშავეთა დასასჯელად.

ეს არ უნდა იქნეს განმეორება ავად მოსაგონარი ერთა ლიგისა, რომელსაც არც უფლებები მოეპოვებოდა და არც საშუალებები აგრესიის თავიდან ასაცილებლად. ეს იქნება ახალი, სპეციალური, უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც თავის განკარგულებაში ექნება ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ დაიცვას მშვიდობიანობა და თავიდან აგვაცილოს ახალი აგრესია.

შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება საკმაოდ ეფექტიანი იქნება? ის ეფექტიანი იქნება, თუ დიდი სახელმწიფოები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომის მთავარი სიმძიმე, კვლავაც ერთსულოვნობისა და თანხმობის სულისკვეთებით იმოქმედებენ. ის ეფექტიანი არ იქნება, თუ ეს აუცილებელი პირობა დაირღვევა.

* * *

ამხანაგებო!

საბჭოთა ხალხი და წითელი არმია წარმატებით ახორციელებენ სამამულო ომის მიმდინარეობაში მათს წინაშე წამოჭრილ ამოცანებს. წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა თავისი პატრიოტული მოვალეობა და მტრისაგან გაათავისუფლა ჩვენი სამშობლო. ამიერიდან და სამუდამოდ ჩვენი მიწა-წყალი თავისუფალია ჰიტლერული სიბილწისაგან. ახლა წითელ არმიას რჩება თავისი უკანასკნელი, საბოლოო მისია: ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად დაამთავროს გერმანელ ფაშისტთა არმიის განადგურების საქმე, მოსპოს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში). საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ამოცანას წითელი არმია ახლო მომავალში შეასრულებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს! (ტაში).

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს! (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს! (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

სიკვდილი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს! (მქუხარე ტაში, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადადის. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!").

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წლის 7 ნოემბერი № 220 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავს.

ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეშვიდე წლისთავს ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი სამშობლოს მტრებზე წითელი არმიის გადამწყვეტ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ღონისძიებებით ჩვენი მიწა-წყალი გაწმენდილია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

წელს საბჭოთა ჯარები განუწყვეტლივ ერთიმეორეზე უფრო ძლიერ დარტყმებს ატეხდნენ თავზე მტერს. 1944 წლის ზამთარში წითელმა არმიამ შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა მარჯვენა ნაპირის უკრაინაში და გაანადგურა გერმანელები ლენინგრადთან. ამა წლის გაზაფხულზე წითელმა არმიამ გერმანელთაგან გასწმინდა ყირიმი. 1944 წლის ზაფხულში ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელთა არმიას აგემეს უდიდესი დამარცხებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ვითარების ძირფესვიანი შეცვლა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. წითელმა არმიამ გასტეხა მტრის მძლავრი თავდაცვა კარელიის ყელზე, აგრეთვე ლადოგისა და ონეგის ტბებს შუა და გამოიყვანა ფინეთი ყაჩაღური ჰიტლერული ბლოკიდან. ბელორუსიის მიწა-წყალზე ისტორიულ ბრძოლაში წითელი არმიის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს გერმანელთა ჯარების ცენტრალური დაჯგუფება სამი არმიის შემადგენლობით, ამასთან გაჟლიტეს და დაატყვევეს 540 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სამხრეთში ბრძოლის დროს წითელი არმია გარსშემოერტყა და სავსებით მოსპო გერმანელთა ჯარების დაჯგუფება ორი არმიის შემადგენლობით. ამასთან საბჭოთა ჯარებმა გაჟლიტეს და ტყვედ წამოიყვანეს 250 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელები რუმინეთში, განდევნა ისინი ბულგარეთიდან, ურტყამს გერმანელებს უნგრეთის ტერიტორიაზე. ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს ჰიტლერელთა არმიების ბალტიისპირეთის დაჯგუფება. 1944 წლის ზაფხულის კამპანიის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით გაიარა კიშინიოვიდან ბელგრადამდე — 900 კილომეტრზე მეტი, ჟლობინიდან ვარშავამდე — 600 კილომეტრზე მეტი, ვიტებსკიდან ტილზიტამდე — 550 კილომეტრი. ახლა ომი გადატანილია ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე.

ბრძოლების მსვლელობაში წითელმა არმიამ განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები საბჭოთა უკრაინისა და ბელორუსიის, კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ტერიტორიიდან. დამხობილია სამი წლის ფაშისტური მონობა გერმანელების მიერ დროებით დაპყრობილ ჩვენი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მიწა-წყალზე. წითელმა არმიამ თავისუფლება დაუბრუნა ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანს. საბჭოთა სახელმწიფო საზღვარი, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს ვერაგულად დაარღვიეს ჰიტლერელთა ურდოებმა, აღდგენილია მთელ მანძილზე შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

ამრიგად, განვლილი წელი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლების წელი იყო.

წითელმა არმიამ დაამთავრა ჰიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლება და ახლა ეხმარება პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის ხალხებს ფაშისტური მონობის ბორკილის დამსხვრევასა და მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაში.

გასული წლის ზამთრისა და ზაფხულის ბრძოლებში წითელმა არმიამ დაგვანახვა გაზრდილი სამხედრო ოსტატობა. წითელი არმიის მეომრები მარჯვედ ამსხვრევდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ ზოლებს, სწრაფად სდევნიდნენ, გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ მტერს. შეტევითს ბრძოლებში გამომჟღავნდა ყველა გვარეობის საბჭოთა ჯარების ზუსტი თანამოქმედება, მანევრის მაღალი ხელოვნება. საბჭოთა მეომრები გამოიბრძმედნენ ბრძოლებში, ისწავლეს მტრის განადგურება და დამარცხება. წითელი არმია მრისხანე ძალა გახდა და სჯობნის მტერს თავისი სამხედრო უნარითა და საბრძოლო ტექნიკით.

წითელი არმიის ძალები მრავალგზის მატულობს საბჭოთა ზურგის შეწყობილი მუშაობით. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია პირნათლად ასრულებენ თავიანთს მოვალეობას სამშობლოს წინაშე, გმირულად სძლევენ ომიანობის დროის სიძნელეებს, შეუფერხებლად ამარაგებენ წითელ არმიას საჭურვლით, სასროლი მასალითა და სურსათით. საბჭოთა მეურნეობა განუწყვეტლივ ზრდის თავის ძალებს და სულ უფრო და უფრო მზარდ დახმარებას უწევს ფრონტს.

წითელი არმია და საბჭოთა ხალხი მზად არიან ახალი გამანადგურებელი დარტყმები მიაყენონ მტერს. ჰიტლერული სისხლიანი რეჟიმის დღეები დათვლილია. წითელი არმიის დარტყმებით საბოლოოდ დაირღვა ფაშისტური ბლოკი, ჰიტლერულმა გერმანიამ დაჰკარგა თავის მოკავშირეთა უმეტესობა. ჩვენი მოკავშირეთა არმიების მიერ დასავლეთ ევროპაში ოსტატურად ჩატარებულ დიდ ოპერაციებს შედეგად მოჰყვა გერმანელთა ჯარების განადგურება საფრანგეთსა და ბელგიაში და ფაშისტური ოკუპაციისაგან ამ ქვეყნების განთავისუფლება. მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს გერმანიის დასავლეთი საზღვარი. ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ წითელი არმიისა და ინგლისელ-ამერიკელთა ჯარების ერთობლივმა დარტყმებმა მოაახლოეს ომის ძლევამოსილი დამთავრების ჟამი. მთავრდება ჰიტლერული გერმანიის გარემოცვა. ფაშისტი მხეცის ბუნაგი გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან და მტრის ვერავითარი ფანდი ვერ იხსნის მას უცილობელი სრული განადგურებისაგან.

წითელმა არმიამ და ჩვენი მოკავშირეების არმიებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები გერმანიის სასიცოცხლო ცენტრების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაერთიანებულ ერთა არმიების სწრაფი შეტევით უმოკლეს ვადაში გავანადგუროთ ჰიტლერული გერმანია.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დიდ სამამულო ომში ჩვენ დავიცავით ჩვენი სამშობლო დამპყრობთაგან, საბოლოოდ მოვსპეთ ფაშისტი მტარვალების მიერ სსრ კავშირის ხალხთა დამონების საფრთხე და ახლა სრული გამარჯვების წინაშე ვდგევართ.

ფრონტზე წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა და ზურგში მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დიად წარმატებათა აღსანიშნავად, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების აღსანიშნავად — ვბრძანებ:

დღეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავზე, 20 საათზე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, პეტროზავოდსკში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, თბილისში, სევასტოპოლში, ლვოვში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

### ნ. მ. რუხაძეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახალხო კომისართასაბჭოს დადგენილებით ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძეს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

### ვ. ნ. ჯანჯღავას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

### საარტილერიო ზალპი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის აღსანიშნავად

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის აღსანიშნავად 1944 წლის 7 ნოემბერს 20 საათზე მოსკოვის დროით, თბილისში მიცემულ იქნება საარტილერიო სალუტი 24 ზალპით.



მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები შ. ჯაში, ხ. ხოშტარია, თ. ტიულენევი, ვ. ბაქრაძე, ქ. ჩარკვიანი, გ. გოჩაშვილი, ს. იშხანოვი, გ. კიკნაძე, ა. წიკლაური, შ. კოხრეიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა ქალაქ თბილისის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, სსრ კავშირის ხალხთა დიდ მხედართმთავარს, საყვარელ მამასა და მასწავლებელს.

ოქტომბრის XXVII წლისთავს ჩვენ ვეგებებით გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე, ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში.

თავხედი გერმანელი დამპყრობლები განდევნილი არიან ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან. წითელი არმია ანადგურებს მტერს გერმანიის ტერიტორიაზე. იგი ეყრდნობა მთელი ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერას, ჩვენი ქვეყნისა, რომელიც თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა.

27 წლის წინათ რუსმა ხალხმა, ბოლშევიკების პარტიის, მისი ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით,ააფრიალა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი დროშა და თავის გარშემო დარაზმა რუსეთის ხალხები მათს ბრძოლაში მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, ნაციონალური თანასწორუფლებიანობისა, ძმობისა და თავისუფლებისათვის.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ **ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით შეჰქმნა მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო — სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, ხალხთა შორის მშვიდობიანობის ბურჯი.

**სტალინის** გენიით შექმნილია სოციალიზმისა და გაშლილი დემოკრატიის კონსტიტუცია, რომელიც წმიდად იცავს ოქტომბრის დიად მონაპოვრებს, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთა ხანგრძლივ ბრძოლაში მოპოვებულ უფლებებს.

გერმანელი დამპყრობლები სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდნენ ამ ისტორიულ მონაპოვართ, მათ სურდათ თავიანთ მონებად გადაექციათ სსრ კავშირის ხალხები.

თქვენი მოწოდებით ერთსულოვნად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი საძულველ მტერთან საბრძოლველად და თქვენი ხელმძღვანელობით დაიცვა ოქტომბრის რევოლუციის დიადი მონაპოვარნი.

ჩვენი გული აღსავსეა მხურვალე მადლობით თქვენდამი, წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი, წითელი არმიისა, რომელმაც გაანადგურა ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოები და დამონებისაგან იხსნა ჩვენი სამშობლო.

თქვენ—ჩვენმა ბრძენმა ბელადმა და საყვარელმა მასწავლებელმა, აღზარდეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმია, ასწავლეთ მას მტრის განადგურება.

თქვენი მოწოდებით სსრ კავშირის ხალხებმა გაშალეს თავიანთი მძლავრი ძალები, სამხედრო ყაიდაზე გარდაჰქმნეს თავიანთი მუშაობა, გადააქციეს მთელი ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად, უზრუნველჰყვეს წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა ბრძოლისათვის.

თქვენი სახელით აღფრთოვანებულნი, თქვენი უმაღლესი სარდლობით, ბრძოლაში მიდიან და იმარჯვებენ სსრ კავშირის ყველა ხალხთა შვილები.

დიადი და ურღვევია ხალხთა სტალინური მეგობრობა—საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყარო.

საქართველოს ათეულათასობით შვილმა, რომლებიც თავისი უფროსი ძმის —რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად იბრძვიან, უკვდავი სახელი მოიხვეჭა ჩვენი სამშობლოსათვის ბრძოლებში.

მტერი, რომელიც ვერაგულად დაგვესხა თავს, იყო მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მთისძირებში.

სტალინური გენიით შთაგონებულმა გმირმა წითელმა არმიამ დაამარცხა მტერი, უკუაგდო იგი გერმანიაში, ვარშავამდე, ბუდაპეშტამდე.

ევროპის ცხრა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უზარმაზარ ფრონტზე ბალტიის ზღვიდან ბალკანეთამდე, ანადგურებენ ახლა საბჭოთა ჯარები საძულველ მტერს და აახლოებენ ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების ჟამს, ჩვენი სამართლიანი საქმის ზეიმის ნათელ დღეს.

საქართველოს მშრომელნი ომის პირველი დღეებიდანვე მთელ თავის ძალებს აძლევენ ფრონტისადმი დახმარებას.

საქართველოს ფაბრიკები და ქარხნები განუხრელად ზრდიან საბრძოლო ტექნიკის, სხვადასხვა სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას. კოლმეურნეობები, რომლებიც გამარჯვების მოსავლისათვის იბრძვიან, ცდილობენ მოამარაგონ წითელი არმია ყოველივე იმით, რაც საჭიროა მტერზე გამარჯვებისათვის.

**ლენინისა** და **სტალინის** გენიით შექმნილი დიადი საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი გამოვა ომიდან.

საბჭოთა ქვეყანამ ღირსეულად გაუძლო ომის მძიმე განსაცდელს და ცხადჰყო, რომ საბჭოთა წყობილება მსოფლიოში ყველაზე მტკიცე სახელმწიფო წყობილებას წარმოადგენს.

ახლოვდება ჩვენი სრული და საბოლოო გამარჯვების ჟამი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის, რომ მტრის სრული განადგურებისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალების დაძაბვა.

დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავის დღეს გეფიცებით თქვენ, ჩვენო დიდო ბელადო და საყვარელო მასწავლებელო, მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ საბოლოო გამარჯვების მოპოვების საქმეს.

ქართველი ხალხი გამსჭვალულია ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით—სანიმუშოდ შეასრულოს ბრძნული სტალინური მითითებანი, თავდადებულად იშრომოს ჩვენი გამარჯვებისათვის.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სავსებით გამოვიყენოთ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესაძლებლობანი და რესურსები ფრონტის დასახმარებლად და ახალი სახელოვანი პატრიოტული საქმეებით აღვნიშნოთ წითელი არმიის დიდი გამარჯვებანი.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას—განმათავისუფლებელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ, საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან ძლევამოსილ დროშას!

გაუმარჯოს **ლენინ-სტალინის** პარტიას—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა კავშირის დიდ მარშალს, მშობლიურ საყვარელ **სტალინს!**

მოსკოვი, კრემლი

## ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს.

სამამულო ომის პირობებში მეოთხედ აღნიშნავს საბჭოთა ხალხი დიდი ოქტომბრის წლისთავს. ეს სახელოვანი წლისთავი აღნიშნულია წითელი არმიის ახალი ისტორიული გამარჯვებებით. ამ გამარჯვებათაგან ყველაზე ბრწყინვალე, ყველაზე დიადია ის, რომ მტერი განდევნილი, გაძევებულია ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან.

გმირი წითელი არმია, ასრულებს რა განმათავისუფლებელი არმიის თავის ისტორიულ მისიას, კვალდაკვალ სდევნის გერმანელ მხეცს და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე შევიდა.

ფაშიზმთან ბრძოლა უკვე სწარმოებს საძულველი ჰიტლერული გერმანიის მიწა-წყალზე. მოვსპოთ ფაშისტი მხეცი მის ბუნაგში! — ამ ფიქრით, ამ მისწრაფებით არის აღფრთოვანებული ახლა წითელი არმიის ყოველი მეომარი, ყოველი საბჭოთა ადამიანი.

დღეს ჩვენ სიამაყით ვავლებთ თვალს განვლილ გზას. გასულ წელს ჩვენი სამშობლო კიდევ უფრო ძლიერი გახდა. დიდი **სტალინის** წინამძღოლობით მან არა მარტო გადამწყვეტ გამარჯვებებს მიაღწია გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე, არამედ ახალი ძალითაც გაიჩაღა გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა ზურგში, ახალ საფეხურზე ავიდა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება. განვლილი წელი იყო აგრეთვე ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდის წელი.

საერთაშორისო ვითარების რთულ პირობებში თქვენ, ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ, განუხრელად ახორციელებთ ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, იბრძვით თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მთელი ძალებისა და საბრძოლო ძლიერების მობილიზაციისათვის ჰიტლერული გერმანიის სრული და საბოლოო განადგურების მისაღწევად.

ძვირფასო ვიაჩესლავ მიხეილის-ძევ!

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი ცდილობენ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა ფრონტზე და ზურგში.

საბჭოთა საქართველოს შვილები, დიდი რუსი ხალხის და სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ, ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს გააფთრებული ბრძოლების ველებზე. ზურგში საბჭოთა საქართველოს მშრომელნი წარმოების ყველა უბანზე თავდადებული შრომით საბრძოლო დახმარებას უწევენ გმირ წითელ არმიას.

დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავისათვის მზადების დღეები საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აღინიშნა მრავალი ახალი შესანიშნავი პატრიოტული საქმით.

ვასრულებთ რა სტალინურ მითითებებს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის.

ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს შეტევითს გაქანებას საბჭოთა ხალხისას, რომელსაც აღაფრთოვანებს **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია და რომელიც ბრძოლასა და შრომაში ძლევამოსილად იცავს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვრებს.

გაუმარჯოს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს — **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!**

დიდება დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მხედართმთავარს, წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — დიდ **სტალინს!**

მოსკოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

## ამხანაგ ლ. პ. ბ ე რ ი ა ს

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი, მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს.

სასიხარულო, ისტორიულ დღეებში ეგებებიან საქართველოს მშრომელნი ოქტომბრის XXVII წლისთავის სახელოვან დღესასწაულს.

ამხანაგ **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით წითელმა არმიამ, მრისხანე სამხედრო ტექნიკით აღჭურვილმა, რომელსაც სტალინური მხედართმთავრული გენია აღაფრთოვანებს, — განდევნა თავხედი გერმანელი დამპყრობნი ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან და ჰიტლერელთა ურდოებს გერმანიის ტერიტორიაზე ანადგურებს.

წითელი არმია გერმანელთა უღლისაგან ათავისუფლებს ევროპის დამონებულ ხალხებს, რომლებიც თავიანთ ნაციონალურ აღორძინებას დიდ **სტალინს** უნდა უმადლოდნენ.

ახლოვდება ჩვენი საბოლოო და სრული გამარჯვების ჟამი.

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

ქართველი ხალხი, ისევე როგორც ამიერ-კავკასიის ყველა ხალხი, არასოდეს არ დაივიწყებს თქვენ მიერ კავკასიის მთისძირებში ისტორიულ ბრძოლათა მკაცრ დღეებში გაწეულ უდიდეს მუშაობას.

იმყოფებოდით რა ჩვენთან იმ მრისხანე დღეებში, თქვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეთ ამიერ-კავკასიის ხალხები, გააერთიანეთ მათი ღონისძიებანი მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და სტალინური გეგმის მიხედვით მოაწყეთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება ამიერ-კავკასიის მისადგომებზე.

თქვენ მიერ აღფრთოვანებულმა ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაამარცხეს და ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან შორს უკუაგდეს თავხედ ჰიტლერელ დამპყრობთა ურდოები.

ამ მკაცრი დღეების სიძნელენი და განსაცდელნი წარმატებით იქნა გადალახული, ვინაიდან თქვენ, ხელმძღვანელობდით რა ამიერ-კავკასიის მშრომელებს მთელი რიგი წლების განმავლობაში, დაუღალავად უნერგავდით მათ უშიშრობას, მტრისადმი სიძულვილს, მამაცობას, **ლენინ-სტალინის** დიადი დროშისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ჩვენ ვიცით, რომ კიდევ ბევრი სიძნელე მოგველის. თავის ბუნაგში მიმწყვდეული ფაშისტი მხეცი გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევა, რათა გადასწიოს თავისი დაღუპვის დღე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ დახმარება ჩვენი მშობლიური გმირი წითელი არმიისადმი, სანიმუშოდ, როგორც ამას თქვენ მუდამ გვასწავლიდით და გვასწავლით, შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დავალებანი.

ჩვენი უფროსი თანამოძმის—დიდი რუსი ხალხის და დიდი საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხთა შვილებთან ერთად საქართველოს მამაცი შვილები ვაჟკაცურად ებრძვიან მტერს, მკერდით იცავენ სოციალისტური სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშა, მეგობრობისა, რომლის სულისკვეთებითაც თქვენ ზრდიდით ამიერ-კავკასიის მშრომელთ, მიგვიძღვის ამ ბრძოლაში, აღაფრთოვანებს ფრონტის მებრძოლებსა და ზურგის მშრომელებს.

**ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ხალხთა დიდი მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** წინამძღოლობით, ჩვენ მტკიცედ მივდივართ მტერზე საბოლოო და სრული გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ამხანაგ **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს — **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

# ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲡ!

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲔᲢᲘ

## გახსოვდეს, გახსოვდეს!

გახსოვდეს მარად, ყოველგზის,
ყოველგვარ სადღეგრძელოში
მზის, მშობლიურ მზის, ნათელ მზის
ამოსვლა საქართველოში.
გაშლილ ზეცაში ღრუბელი...
ეხლა სხვაგვარად ინათა...
და სხივი თავისუფალი
მოშფინა იმ ნანინათა...
ვერ მოსპონ და ვერ სძლიონ ის
ურყევი სიმაგრეები —
გახსოვდეს კავკასიონის
გამძაფრებული დღეები.

ეგონა: მთებს მოდაისე
აიღებს — ჯიბეს ჩაიდებს,
ძლიერ უბრალოდ — და ისე
რომ არც კი იმუყაითებს.
მაგრამ შენ მეომარი ხარ
მხარემ რომ უხვად დაბადა —
რომ თქვენთან ვლიდნენ მხარდამხარ
აჩრდილნი მამაპაპათა.

იქიდან, სადაც ოქტომბრის
ერა აინთო მახვილი,
მტერს მოესმოდა ახალ ძვრის
რკინების ცლერა-ძახილი.
და ჩვენი ჯარი ვით არი
ამლები ყოველ სიმაღლის,
არ მგრძნობი არავითარი
დაბრკოლებისა და დაღლის
წინ იწევს: გამარჯვება ან
სიკვდილი სახელოვანი,
ვითარ დიადობს, აწცა სცან,
კავკასიონი მხცოვანი!

მოტყდა ის, ჩვენთა ნაპირთა
ვინც სცდიდა ცვლას, შეფერებას,
ორ თვეში რომ გვიპირებდა
წალეკვას, გაცამტვერებას.
მოტყდა ის, ვინც ასაკლებად
მოაწყდა (ახლა ვერა სძლებს),
ავუკლებივართ ნაკლებად:
ჰკითხონ დამსხვრეულ გენერლებს.
რტყმა — საზღვარს იქით მიმწდომი
კარგად იგემა ყაჩაღმა —
ცხადია, წააგო ომი
ვინც ომი აქ გააჩაღა.

რომელ იმათგანს შესწევდა
ან ძალა ანუ გენია
დიდი სტალინის, მთელს ერს და
მსოფლიოს რომ მოჰფენია;
სტალინის, რომელმაც ერთმა
შეიძლო — როგორც არავინ,
ასეთ დროს რომ წარემართა
დიდი და გაუბზარავი
ცხოვრების გემი, წასული
გზით დიდი მომავლისაკენ,
სინათლისაკენ, გზა სრული
გამარჯვებისკენ, მზისაკენ!

გახსოვდეს მარად, ყოველგზის,
ყოველგვარ სადღეგრძელოში
მზის, მშობლიურ მზის, ნათელ მზის
ამოსვლა საქართველოში!

6 ნოემბერი 1944 წ.

## ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ახალგაზრდა ექიმმა ვ. თანდილაშვილმა გაიარა დიდი საბრძოლო გზა სევერნი დონეციდან მდინარე პრუტამდე და კვლავაც წინ მიდის.

ბრძოლები ბელგოროდისა, ხარკოვისა, მერეფისა, კიროვოგრადისა, მოლდავეთის სოფლებისა და ქალაქებისათვის და, ბოლოს, ბრძოლები საბჭოთა სახელმწიფო საზღვრებთან, მტრის ტერიტორიაზე რუმინეთში — ამხ. თანდილაშვილისათვის მკაცრი სკოლა იყო.

მთელ თავის ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც ამხ. თანდილაშვილმა უმაღლეს სასწავლებელში შეიძინა, იგი ახმარს კეთილშობილურ საქმეს — დაჭრილი მეომრისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას. ბევრი მეომარი გამოჰგლიჯა მან სიკვდილს ხელიდან და დაუბრუნა ფრონტს.

თავდადებული კეთილშობილური შრომისათვის ქართველი ხალხის ერთგული შვილი, წითელი არმიის მამაცი ოფიცერი ვლადიმერ ვასილის-ძე თანდილაშვილი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

გვარდიის კაპიტანი Გ. ᲝᲡᲘᲞᲝᲕᲡᲙᲘ
კაპიტანი ᲡᲙᲐᲢᲙᲝᲕᲘ

## ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲭᲔᲚᲘᲫᲔ



ერთხელ კაპიტან ვალერიან ჭელიძის სათვალთვალო პუნქტი გერმანელთა თვითმფრინავებმა დაბომბეს. ბომბი დაეცა სანგარს და ჩაანგრია. კაპიტანი ორმოში მოჰყვა. რამდენიმე საათს მიწაში ჩამარხული იყო, მაგრამ გადაურჩა სიკვდილს და ცოტა ხნის მკურნალობის შემდეგ კვლავ ბრძოლის ველს მიაშურა.

საბრძოლო ნათლობა კაპიტანმა ჭელიძემ ჯერ კიდევ თეთრფინელებთან ომში მიიღო. სამამულო ომის ფრონტებზე გამოიბრძმედა და მხნე, უშიშარი მეთაური გახდა. ამხ. ჭელიძე მამაცურად იბრძოდა სტალინგრადთან, რისთვისაც დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის".

1943 წელს მდინარე დნეპრის გადალახვისას კაპიტანმა ჭელიძემ თავი ისახელა, როგორც მამაცმა არტილერისტმა. მისი ბატარია საიმედოდ იფარავდა ჩვენს ქვეით ნაწილებს, რომლებიც მდინარეზე ნავებით გადადიოდნენ. ბატარია ბორნით მიჰყვებოდა ქვეითს ჯარს. ცხარე ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დნეპრი გადალახეს და მის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმი დაიკავეს. გერმანელებმა კონტრიერიში მოიტანეს და პლაცდარმის სალიკვიდაციოდ 22 ტანკი დასძრეს. მათ შორის 11 ტანკი კაპიტან ჭელიძის ბატარიის მიმართულებით მოდიოდა. ჭელიძის მებრძოლები არ შედრკნენ. მათ ორი ქვემეხი დააყენეს მოწინავე ხაზზე. პირდაპირი დამიზნებით განადგურებულ იქნა მტრის სამი ტანკი და ერთი ჯავშნიანი მანქანა. დანარჩენი ტანკები უკან გაბრუნდნენ. მტრის კონტრიერიში ჩაიშალა და ჩვენს ქვეგანაყოფებს საშუალება მიეცათ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულიყვნენ.

დიდი ბრძოლები გადაიხადა კაპიტანმა ჭელიძემ ქალაქ კრივოი როგთან. გერმანელების ჭარბი ძალები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ჭელიძის ბატარიამ დავალება მიიღო ჩვენს ქვეით ნაწილებთან თანამოქმედებით შეეჩერებინა მტრის იერიში. ბატარიის მეთაურმა ქვემეხები დავალების შესასრულებლად მოამზადა. ამ ბრძოლაში ბატარიამ მტრის ორი ტანკი დაამსხვრია. ასზე მეტი მოკლული ოფიცერი და ჯარისკაცი დასტოვეს გერმანელებმა ბრძოლის ველზე და უწესრიგოდ უკუიქცნენ. მტრის კონტრიერიში ჩაიშალა.

ქალაქ კრივოი როგიდან განდევნილი გერმანელები მდინარე ინგულეცზე გამაგრდნენ. თებერვლის სუსხიანი ღამე იყო. ჩვენს ქვეგანაყოფებს დავალება მიეცათ გადაელახათ ინგულეცი და მის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულიყვნენ. მდინარეზე არც ერთი ხიდი არ იყო. გერმანელებმა უკანდახევისას ხიდები ააფეთქეს. ჩვენი მებრძოლები ყინულზე გადადიოდნენ და ქვემეხები ხელით გადაჰქონდათ. ორი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა მდინარე გადალახეს და დაიკავეს პოზიციები მის მარჯვენა ნაპირზე. გერმანელები კონტრიერიშზე გადმოდიოდნენ, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდნენ, რადგან კაპიტან ჭელიძის ბატარია ყოველთვის დიდ ზარალს აყენებდა მათ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და აიძულებდა უკან დაეხიათ.

გვარდიის კაპიტან ჭელიძის ბატარია გზას უკაფავდა ჩვენს ქვეგანაყოფებს აგრეთვე მდინარე იუჟნი ბუგის გადალახვისას, რუმინეთის საზღვარზე და მდინარე პრუტის გადალახვის დროს წარმოებულ ბრძოლებში.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და მამაცობის გამოჩენისათვის გვარდიის კაპიტანი ვალერიან ჭელიძე დაჯილდოებულ იქნა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით.

• • •

ვალერიან ონისიმეს-ძე ჭელიძე დაიბადა 1912 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ძირაგეულში. დაწყებითი სწავლა თავის სოფელში მიიღო. 1931 წელს თბილისში დაამთავრა საშუალო სკოლა. 1934 წელს წითელ არმიაში გაიწვიეს. 1937 წელს შევიდა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს. სამამულო ომის დაწყებიდანვე ფრონტზეა და მამაცურად ებრძვის გერმანელ ოკუპანტებს.

ᲐᲚ. ᲭᲣᲢᲘᲐ

## ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲔᲠᲣᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ავთანდილ ბერუჩაშვილის ვაჟკაცურ მკერდზე ბრწყინავს წითელი ვარსკვლავის ორი ორდენი, დიდების მესამე ხარისხის ორდენი და გვარდიის ნიშანი, რომელიც მან დაიმსახურა გენერალ პანფილოვის სახელობის გვარდიის მერვე დივიზიაში ყოფნისას გადახდილი ბრძოლებისათვის.

სამამულო ომმა ბერუჩაშვილს მოუსწრო ქალაქ კოტლასში. 1941 წლის აგვისტოდან იგი ფრონტის მოწინავე ხაზზეა. მრავალი გერმანელი გაჟლიტა. ჩვიდმეტ დღე-ღამეს იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან. მაშინ ცხენოსანი დივიზიის მეომარი იყო, — მოსკოვის ახლო ბრძოლის ველზე ხმალამოღებული ჰკაფავდა გერმანელებს.

მზვერავის ხიფათიანი გზით იგი შედიოდა რჟევში, ველიკიე ლუკში, ნეველში, სადაც ობობასავით დაბუდებულიყო ბილწი გერმანელი. ბერუჩაშვილი მოსვენებას არ აძლევდა პირსისხლიან მტერს. მამაცი მზვერავის საგმირო საქმეებს აღწერდა კალინინის ფრონტის საარმიო გაზეთი.

ერთ ბნელ ღამეს ბერუჩაშვილი წავიდა „მოენის" საძებნელად. წაიყვანა თავისი ასეულის ძველი მზვერავები. სოფელში, სადაც გერმანელთა გარნიზონი და შტაბი იყო, ძნელად თუ შეაღწევდა კაცი. უნდა გაევლოთ ძლიერ დაცული ხიდი. ბერუჩაშვილი ხოხვით მიუახლოვდა მას, ცივი იარაღით ბოლო მოუღო გერმანელ გუშაგს. მეორეს ანგარიში გაუსწორა ბერუჩაშვილთან მყოფმა სერჟანტმა. გზა გახსნილი იყო. ჩვენმა მზვერავებმა სოფელში მყოფ გერმანელებს ძლიერი სროლა აუტეხეს. მტერი პანიკამ მოიცვა. ბერუჩაშვილი ერთ სახლში შეიჭრა და ორი „მოენე" წამოიყვანა. ამოცანა წარმატებით შესრულდა.

საჭირო იყო მტრის საზენიტო ავიაპოლკის „დიდი გერმანიის" მომსახურე პერსონალის გაჟლეტა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელში ჩაგდება. ეს საქმეც ბერუჩაშვილს მიანდეს. იგი ორ მზვერავთან ერთად სიბნელეში გაუჩინარდა. სამნი ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ მტრის ადგილსამყოფელს. ბერუჩაშვილმა ავტომატმომარჯვებული ორი მზვერავი შესასვლელში დააყენა, თვითონ გაბედულად შეიჭრა მტრის ბლინდაჟში, დაერია ჰიტლერელებს და ექვსი მათგანი მოჰკლა, თან წამოიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ასეთია 24 წლის ჭაბუკის, მზვერავ ავთანდილ ვარლამის-ძე ბერუჩაშვილის საბრძოლო ცხოვრების გზა.

Ს. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

## ᲖᲐᲥᲠᲝ ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ



1942 წელს კავკასიის მისადგომებთან მძიმე ბრძოლები გაიმართა. მტერი დიდი ძალებით აწვებოდა ჩვენს ნაწილებს. მშობლიური მიწა-წყლისათვის სხვა მეომრებთან ერთად მამაცურად იბრძოდა გვარდიის სერჟანტი ზაქრო ურუშაძე. მან ბევრი გერმანელი დამპყრობი მოსპო.

მამაცმა პატრიოტმა განუწყვეტელ ბრძოლებში განვლო ათასობით კილომეტრი კავკასიის მთის კალთებიდან—იუგოსლავიამდე.

სერჟანტმა ურუშაძემ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უკრაინის მრავალი ქალაქისა და სოფლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. იგი დაიჭრა, მაგრამ განკურნებისთანავე დაუბრუნდა ფრონტს. გამოცდილი მებრძოლი სერჟანტი ურუშაძე მეტყვიამფრქვევე ოცეულის მეთაურად დანიშნეს. ამავე დროს ასეულის პარტორგადაც მუშაობდა და კომუნისტის წმიდა მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

ზაქრო ურუშაძის საბრძოლო ეპიზოდს მოგვითხრობს გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ი. ავდეევი წერილში „კომუნისტებისა და კომკავშირელების მაგალითის ძალა", რომელიც დაბეჭდილია ერთ-ერთ საფრონტო გაზეთში.

„აი კომუნისტების საგმირო საქმენი. კომუნისტმა ურუშაძემ დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაანადგურა ოთხი საცეცხლე წერტის გუნდები და ტყვედ წამოიყვანა 17 ფაშისტი".

ასეთი წარმატებისათვის ზაქრო ურუშაძე დაჯილდოებულია დიდების ორდენით.

შემდეგ ზაქრო ურუშაძე ებრძოდა გერმანელ ოკუპანტებს რუმინეთში და ბულგარეთში. თავის უკანასკნელ წერილში ქართველი ვაჟკაცი ახლობლებს სწერს: „ახლა გემზე ვიმყოფები. მდინარე დუნაით მივდივართ იუგოსლავიისაკენ, სადაც დიდი ბრძოლები მოგველის. მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას ვიღებ ფაშისტური მონობისაგან ამ ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ვეცდები აქაც ქართველური ვაჟკაცობა გამოვიჩინო და გავამართლო ჩემი ხალხის იმედები".

ზაქრო ფილიპეს-ძე ურუშაძე დაიბადა 1912 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მშობლები ადრე გარდაეცვალა და მისი აღზრდა იკისრა მისმა ძმამ. არასრული საშუალო სკოლა ზაქრომ თავისსავე სოფელში დაამთავრა. ამის შემდეგ იგი თავისი სურვილით შევიდა სამხედრო სასწავლებელში. ომამდე მუშაობდა ბათუმში. 1941 წლის ივნისში ფრონტზე გაიწვიეს.

კავკასიის დაცვის მონაწილე გვარდიის სერჟანტი ზაქრო ურუშაძე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით „მამაცობისათვის" და წითელი ვარსკვლავის ორდენით.

Ს. ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ [illegible]

## ოქტომბრის დროშა

დილისწინ მთვარე, ვით ოქროს მშვილდი,
ამოენთება სამშობლოს ცაზე.
კარს შემოაღებს ნოემბრის შვიდი
სიხარულით და სინათლით სავსე.

ეს დღე ყოველთვის სანუკვარია,
ბედნიერების სხივთა მთოველი,
სული ზეიმობს, გულს უხარია,
რადგან სტალინის სიტყვას მოველით.

ჩვენ გამარჯვების გუგუნი გვესმის
და ჩვენი გულიც შვებით ივსება.
განვდევნეთ მტერი და მისი ფესვიც
მალე სავსებით გაისრისება.

ავაზაკთაგან მიწა მშობელი
კიდით-კიდემდე გაწმენდილია.
ბრწყინავს ჩვენი მზე გაუქრობელი,
მტრის ქვეყანაში ღამის ჩრდილია.

გაჰქრა სიკვდილის შავი აჩრდილი,
ბრძოლას ამაოდ არ ჩაუვლია.
დღეს ცოფიანი მხეცი დაჭრილი
თავის ბუნაგში მიმწყვდეულია.

ჩვენ გამარჯვების გრიალი გვესმის,
გული სიამის გრძნობით ივსება.
განვდევნეთ მტერი და მისი ფესვიც
მალე სავსებით გაისრისება.

დღეს ჩვენ ოქტომბრის დროშას ვადიდებთ
და საზეიმო სიმღერას ვმღერით.
უკანასკნელად დავარტყათ კიდევ
და სამუდამოდ დავმარხოთ მტერი.

1944 წ. 5 ნოემბერი.

## ᲛᲐᲗᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲜᲐᲓᲔᲑᲘ

— წერილი მივიღე!

რა აღტაცებით, რა აღელვებით წარმოსთქვამს ხოლმე ამ ორ სიტყვას ფრონტელის დედა თუ მამა, და თუ შვილი, როდესაც ფრონტიდან წერილს მიიღებს.

წერილს გულში ჩაიხუტებს, სიხარულის ცრემლებით აევსება თვალები, სანამ ბარათს გახსნიდეს, ათასი ფიქრი უტრიალებს. ეს წერილი ხომ იმ მარჯვენამ დაწერა, რომელიც სამ წელზე მეტია შამხანას ეძმო, იმ მარჯვენამ დაწერა, რომელიც მედგრად ურტყამს მტერს, სჭედს ჩვენს გამარჯვებას.

ახედავ წერილს, და სანამ სიტყვებს გაარჩევდე, თვალწინ წარმოგიდგება ავტომატმომარჯვებული მშობლიური ადამიანი. იგი ღიმმორეული გიმზერის თითქოს და სტრიქონები გადმოგცემენ მის გულისნადებს.

„გუთანი და მკერდუხვი მამული იყო ჩემი მოხერხებისა და მკლავის ძალის გამომცდელი. ომმა გუთანი ავტომატით შემიცვალა და მეოთხე წელია გერმანელებზე ვნადირობ.

ეს-ეს არის დაზვერვიდან დავბრუნდი, ორი გერმანელი „მოენე" მოვუყვანე ნაწილის სარდლობას.

ასე ხდება ხოლმე: როცა საბრძოლო დავალებას წარმატებით შევასრულებ, იმ ღამეს მშვიდად ვარ, თავი მშობლიურ საქართველოში მგონია. მახსოვს, ასე ტკბილი ფიქრები მჩვეოდა, როცა შემოდგომის მიწურულში ყველაფერს დავაბინავებდი და ოჯახში შვილებთან ტკბილ საუბარს გავაბამდი".

ასე სწერს თავის მეუღლეს მზეთამზეში (ბორჯომის რაიონი) ფრონტელი ვაჟკაცი კონსტანტინე დათუნაშვილი.

ამ წერილის მიღების შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ კონსტანტინეს მეუღლემ ფრონტიდან წითელარმიული გაზეთი მიიღო. გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო ქმრის სურათი. მას მკერდს უმშვენებენ მთავრობის ჯილდოები—დიდების II და III ხარისხის ორდენები და მედლები „მამაცობისათვის", „ლენინგრადის დაცვისათვის".

„მთვრალი ფრიცები ზედიზედ გადმოდიოდნენ კონტრიერიშებზე, ლამობდნენ დაკარგული ზოლის უკან დაბრუნებას. ჩვენ სიკვდილს შევურიგდებით და იმ აზრს კი არა, რომ სისხლით მოპოვებული ზოლი დავტოვოთ...

მტრისაგან ნასროლი ნაღმი ჩემს ახლოს აფეთქდა და ორგან მძიმედ დამჭრა. ამ დროს ჩვენი ნაწილი შეტევაზე გადავიდა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და, სანამ ძალა შემწევდა, მტერს ავტომატით ვცელავდი. არ მინდოდა სიკვდილი! გამარჯვებაზე ვფიქრობდი და არ მოვკვდი! მოვრჩი და ახლა კვლავ ფრონტზე ვარ".

ასე სწერდა თავის დედას ზემობეშეთში (ბორჯომის რაიონი) ფრონტელი შვილი დიმიტრი მუმლაძე. ალალი, მეომრის გულიდან ამომხდარი სიტყვებია! ეს იყო მეშვიდე ჭრილობა, რომელიც მუმლაძეს გერმანელებმა მიაყენეს.

განსაკუთრებით ამაღლევა დიმიტრის დედის სიტყვებმა „შვილო, წინაპრებს უთქვამთ, „ვაჟაი ნაჩეხი სჯობიაო"...

აღმაფრთოვანებელ წერილებს იწერებიან ფრონტიდან ბორჯომის ხეობის პირმში ვაჟკაცები ორგზის ორდენოსნები გიორგი კურტანიძე, ცალქალამანიძე, ნიკოლოზ გელაშვილი...

ყველას ხომ ვერ ჩამოსთვლი! ისინი ყოველდღე ასობით და ათასობით მოდის ფრონტიდან მებრძოლების მშობლიურ სოფლებში თუ ქალაქში, მოაქვთ წითელი არმიის სახელოვანი მეომრების ბრძოლებში გამოწრთობილი გულის შინაგანი ღელვა.

კითხულობ ამ წერილებს და ფიქრობ: რა სინიდისი მოგცემს ნებას, რომ ზურგში მყოფმა ძალა და შესაძლებლობა დაიშურო ასეთი მამაცი, ასეთი გაუტეხელი ვაჟკაცების დასახმარებლად, და კვლავ გულიდან იფეთქებს კეთილშობილური ძახილი—ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

Ვ. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

Გ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

## ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲐᲜ!..

...„მეტის მოთმენა შეუძლებელია. ჩვენს გაჭირვებაში ქვაც ხმას ამოიღებს. დაფიქრდით აბა! ის, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყეები გაჩეხა და სოფლები გააშენა, ვინც წელებზე ფეხს იდგამს და დღემუდამ ოფლს იწურავს, ის, ვინც ქვეყანას ძუძუს აწოვებს — ის ხალხი გლეხკაცობაა; და აი სწორედ ეს ხალხია დღეს სიღარიბესა და შიმშილში ჩავარდნილი. დიახ! მეტის მოთმენა შეუძლებელია. აქ ქვაც კი ხმას ამოიღებს. საჭიროა თვითონ ხალხმა მოჰკიდოს თავის საქმეს ხელი, რადგან ხალხის განთავისუფლება თვითონ ხალხმა უნდა მოახდინოს და არა მეფეებმა"...

ამ სტრიქონებს ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ჭრაქის სინათლეზე აწყობდნენ გულადი და თავგანწირული ასოთამწყობები. ცხრაათას ეგზემპლარად დაიბეჭდა დაჩაგრული გლეხობისადმი მიმართული ეს მგზნებარე სტრიქონები და მისი ავტორია რევოლუციის გენიალური სარდალი დიდი სტალინი.

რამდენ ქარტეხილს გადაუვლია მას შემდეგ! რამდენი სისხლი დაღვრილა! რამდენი თავისი საუკეთესო შვილი მსხვერპლად გაუწირავს მშრომელ ხალხს თავისუფლებისათვის, რომელიც მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე დიდი ლენინის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით სამუდამოდ დამკვიდრდა. ოქტომბერია მისი მშობელი, ოქტომბერია მისი სახელი.

თვითმპყრობელობის ბატონობის შავბნელ დღეებში დიდი ბელადის მიერ დაწერილი პროკლამაციის სტრიქონები მაგონდება, როცა კახეთის ველებზე მოგუგუნე ტრაქტორებსა და შებმულ გუთნეულებს ვუყურებ.

აჰა! ეს ხალხი, ვინც დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა, ვინც ტყე გაჩეხა და სოფლები გააშენა. ეს კახეთის გლეხკაცობაა, ხვნად და თესვად რომ გამოსულან საშემოდგომოდ. მაგრამ ეს წინანდელი ბეჩავი გლეხკაცობა როდია. ეს არის თავისუფალი საბჭოთა გლეხკაცობა!

ბადიაურის სადგურს გასცდებით და თქვენს ყურადღებას მიიპყრობს გორაკებზე გადმომდგარი ორ-ორ სართულიანი, ახალ-ახალი აგურის სახლები. ეს არის სოფელი ყანდაური, და მთელს ამ მიდამოს ფლობს გურჯაანის რაიონში სახელმოხვეჭილი კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა".

სოფლის ცენტრში კოხტა და განიერი შენობაა. მეორე სართულზე დარბაზია, — აქ არის ყანდაურელ კოლმეურნეთა შრომის ფრონტის შტაბი. მაგიდას უზის „შტაბის უფროსი" — მოხდენილი ვაჟკაცი გიორგი შენგელიძე, რომელიც გამარჯვების პასუხადაც: „დავამთავრეთო" იძახის და კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტს. გიორგის უნდა გაუგოთ, იგი ამით გელაპარაკებათ, რომ საშემოდგომო ხვნა-თესვა უკვე დაუმთავრებია 50 ჰექტარის გადამეტებით. მას ასე სჯერა, რომ თქვენც სწორედ ამის გასაგებად ხართ ამ სიშორიდან ჩასული.

გიორგი საუბრის დროს დარბაზის ხან მარცხენა კედლისაკენ მიიხედავს, ხან მარჯვენისაკენ. თქვენც უნებურად თვალს გააყოლებთ და ნახავთ, რომ კედლები გაჭედილია ჩარჩოებში ჩასმული ატესტატებით და დიპლომებით. გიორგი და მასთან ერთად ყველანი ამაყობენ მით, რომ კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენა" სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო და მისი სახელი არ მოშორებია გამოფენის საპატიო წიგნს. იგი მონაწილეობდა გამოფენაში კარგი მაჩვენებლებისათვის როგორც მეცხვარეობის, მევენახეობის, ისე მემინდვრეობის დარგში.

სწორედ აქ, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეები. სწორედ ამ გამოფენაზე შეხვდნენ ყანდაურელები საბჭოთა უკრაინის სინელნიკოვის რაიონის ტარას შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებს, რომლებთანაც დაამყარეს ნამდვილი მეგობრობა, დასდეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება და ყოველწლიურად აჯამებდნენ მის შედეგებს, ვიდრე ვერაგი მტრები—ფაშისტთა ურდოები შემოესეოდნენ და აოხრებდნენ აყვავებულ უკრაინას.

ჩამოწვა შავი ღრუბელი. მეგობრები მოსწყდნენ ერთმანეთს. მურტალმა მტერმა წაბილწა უკრაინა. ბრძოლად გაიჭრნენ კახელი ვაჟკაცები. ბელადის მოწოდებისთანავე ყანდაურელმა პატრიოტებმა იარაღი აისხეს და მტერს ეკვეთნენ ლომებივით.

ქვეყანა იქცა ერთიან სამხედრო ბანაკად. საბჭოთა ქვეყნის ხალხების შვილებთან ერთად მამაცმა ქართველმა მებრძოლებმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს სამამულო ომის ისტორიაში.

რამდენიმე ასეული საუკეთესო ჭაბუკი გაგზავნეს ყანდაურელებმა სამამულო ომის ფრონტზე.

...აი ეს ბრგე შავწვერულვაშიანი ვაჟკაცი, დარბაზის კარებში რომ ძლივს შემოეტია, ომგადახდილი მეომარია — ორდენოსანი საბა ჯავახიშვილი, რომელიც დონბასის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. ბევრი ჰიტლერელი ჩაუძაღლებია უკრაინის მიწა-წყალზე. ფაშისტებმა კი რამდენიმე თითის გარდა ვერაფერი დააკლეს მას. დღეს აქ დაბრუნებულა თავის ცხვარში, და როგორც მეცხვარეობის საუკეთესო მცოდნე, მეცხვარეობის ფერმას განაგებს კოლმეურნეობაში.

— შური ვიძიე უკრაინელი ძმებისათვის, მაგრამ მახლას! ხელი წამერთვა! ნაღვლიანად ლაპარაკობს საბა და უკმაყოფილოა, რომ არ შეუძლია კვლავ შამხანითვე ბრძოლა.

ყანდაურელი ვაჟკაცია საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი გოცირიძე, რომლის სახელი და დიდება დაკავშირებულია მდინარე დონისა და დნეპრის გადალახვასთან.

ყანდაურელებმა თავის უკრაინელ ძმებს და ჰეგობრებს იარაღით ხელში საკუთარი სისხლით დაუმტკიცეს მეგობრობა. „ძმა-ძმისთვინა შავი დღისთვინაო".

სახელოვანმა წითელმა არმიამ ჰიტლერელებისაგან გასწმინდა უკრაინის მიწა-წყალი. განთავისუფლდა სინელნიკოვის რაიონიც. მეგობრებმა მოსძებნეს მეგობრები.

და ჩვენ ვიყავით მოწმე იმ გულთბილი, ძმური შეხვედრისა, რომელიც გურჯაანელმა კოლმეურნეებმა გაუმართეს განთავისუფლებულ უკრაინელ კოლმეურნეებს, რომლებიც ამ დაძაბული სამამულო ომის დღეებში იწვიენ მათ ომამდელი სოციალისტური შეჯიბრების გასაახლებლად.

ყანდაურელებს არ დაუშურავთ დახმარება ძმმე უკრაინელებისათვის. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეებმა 10 ვაგონი დატვირთეს ძვირფასი საჩუქრებით და თან გაატანეს სინელნიკოველებს. მარტო კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენამ" ტარას შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებს დახმარების სახით გაუგზავნა 30 ცხვარი, 5 ძროხა, 2 ცხენი, 7 ფუთანი და 9.000 კილოგრამი მარცვლეული.

ფრონტულად მუშაობენ ყანდაურელები სამამულო ომის წლებში. რომ არ დასტყობოდათ გმირ ვაჟკაცების ფრონტზე ყოფნა, მუშაობა გააძლიერეს ქალებმა და მოხუცებმა. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობის სათესი ფართობი არა თუ არ შეუმცირებიათ, არამედ გაადიდეს კიდეც. მაგალითად, 1941 წელს კოლმეურნეობამ დასთესა 586 ჰექტარი, ახლა კი სათესი ფართობი 643 ჰექტარს შეადგენს. კოლმეურნეობის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სათესლე მეურნეობის მოწყობა, რომელმაც წელს რაიონის კოლმეურნეობებს 90 ტონა საუცხოო სათესლე მარცვლეული მისცა. ახლაც სათესლედ დათესილი აქვთ 220 ჰექტარი, რომელსაც ჩინებულად უვლის და მეთვალყურეობს აგრონომი გეგუჩაძე.

ცხვრის სულადობა 1940 წელს 5.087-ს უდრიდა, ახლა კი ჰყავთ 6.861 სული ცხვარი, საუცხოოდ მოვლილი და უზრუნველყოფილი გამოზამთრებისათვის.

სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდა პირველი მცნებაა ყანდაურელთათვის. წელს მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 124 ტონა მარცვლეული. ხორცი ამ წლის გეგმის გადამეტებით 12.000 კილოგრამის რაოდენობით ჩაბარებული აქვთ მომავალი წლის ანგარიშში. მატყლი ჩაბარებული აქვთ 3.096 კილოგრამი. არ არის არც ერთი სახის პროდუქცია, რომელიც გეგმის გადაჭარბებით არ ჰქონდეთ ყანდაურელებს ჩაბარებული. სამხედრო სესხის სახით კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 150.000 მანეთი.

კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები არიან იასონ ჩოკოშვილი, კატო ჯანიაშვილი, ნინო დუდაშვილი, ანა ფეიქრიშვილი, მარო ცაცაშვილი, თამარ გაბრელიშვილი, მარიამ შენგელიძე, კოტე ელიზბარაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, მატრონე ხარებაშვილი, სანდრო გიგაშვილი, ანია ლეგაშვილი და სხვები, რომლებიც ფრონტულად მუშაობით ზრდიან კოლმეურნეობის დოვლათს, ეხმარებიან წითელ არმიას მტრის საბოლოო განადგურებაში.

იასონ ჩოკოშვილს გამომუშავებული აქვს 503 შრომადღე, მარიამ შენგელიძეს, ფრონტელის დედას, 328. მისი ვაჟი წითელი არმიის ოფიცერია და მამაცურად იბრძვის კარპატის მთებს გადაღმა, წერილში დედას აღუთქვამს გამარჯვებული დაგიბრუნდები ბერლინში შესვლის შემდეგო. მეოთხე წელია ქმარი ფრონტზე ჰყავს ანა ფეიქრიშვილს. ბრიგადირი იყო მისი ქმარი. ახლა ანა რგოლის ხელმძღვანელია და სტახანოვური შრომის მაგალითს აძლევს სხვებს.

ყანდაურელ კოლმეურნეებს დიდად აინტერესებთ როგორ აღადგენენ თავიანთ მეურნეობას უკრაინელი მეგობრები, რომლებთანაც სოციალისტური შეჯიბრება აქვთ, ისინიც სისტემატურად უგზავნიან გულთბილ წერილებს ყანდაურელებს და აცნობებენ ყოველ წარმატებას. ამას წინათ ყანდაურელებმა მიიღეს სინელნიკოვის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოს ვალენტინა კუზნეცოვას წერილი, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ წამოაყენეს ფეხზე გერმანელების მიერ გაპარტახებული კოლმეურნეობა. წერილი აღსავსეა გულითადი მადლობით გაწეული დახმარებისათვის და ასე თავდება: „დაე არასოდეს არ ჩაქრეს ქართველ და უკრაინელ ხალხთა ეს მეგობრობა. შორს არ არის ის დრო, როცა საბოლოოდ გავანადგურებთ საზიზღარ მტერს—ფაშიზმს, რომელმაც დაგვირღვია ჩვენი საამური ცხოვრება. დაგვიბრუნდება ბედნიერება, დაგვიბრუნდებიან ჩვენი გმირები ფრონტიდან და მაშინ ვიდღესასწაულებთ გამარჯვებას ჩვენებურად, კოლმეურნულად".

გამარჯვებულ გმირებს მოელიან ყანდაურელებიც. კახურ სუფრაზე შეხვდებიან ერთმანეთს საბჭოთა კავშირის გმირი—ყანდაურელი გიორგი გოცირიძე და კარდანახელი გმირი ვლადიმერ ბეროშვილი, უკრაინის მიწა-წყალზე ვაჟკაცური ბრძოლებით რომ შემოსილან დიდების შარავანდედით. ცოცხმბორის მთას გამარჯვების ყიჟინა შესძრავს. კახური მრავალჟამიერით დაამშვენებენ სადღეგრძელოს იმისას, ვინც მტერზე გამარჯვება მოგვიპოვა. კახელ კოლმეურნეთა პირველი სადღეგრძელო ყოველთვის ეკუთვნოდა და ეკუთვნის იმას, ვინც მათ მუდმივ სარგებლობაში ჩააბარა ბარაქიანი მიწა, რომელზედაც ფეხის დადგმასაც უკრძალავდნენ თავადები და მემამულეები; მათი მადლობა ეკუთვნის იმას, ვინც თავისუფლების ცხოველმყოფელი სხივებით შემოსა ჩვენი ქვეყანა, ვინც კაცობრიობას მოაცილა უბოროტესი და უსაშინელესი მტერი—ფაშიზმი, ვინც თავისუფლება დაუბრუნა ფაშიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს, ვინც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მართლაც „დედამიწას გული გაუხსნა და ზურმუხტად აახავერდა"! და იგი არის დიდი სტალინი!

# დიდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაუღალავ მუშაკებს!

## დედა-სამშობლოსათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის!

### საქართველოს მრეწველობის მოწინავე ადამიანთა საოქტომბრო საჩუქრები

**ლითონი, რომელიც შეიქმნა ზესტაფონში.** ლაპარაკია მეტალურ მარგანეცზე, ლითონზე, რომელიც პირველად დაიბადა საბჭოთა კავშირში, ლითონზე, რომელიც პირველად მიიღეს ზესტაფონში. თაობები ოცნებობდნენ მის მიღებაზე, ბევრი სამეცნიერო დაწესებულება და მეცნიერი მუშაობდა ამ პრობლემაზე და მისი გადაწყვეტა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს რაფიელ აგლაძეს ხვდა წილად. პირველად ქიმიურ ლაბორატორიებში, ხოლო შემდეგ სამრეწველო მასშტაბით ზესტაფონში მიიღეს ეს უძვირფასესი ლითონი. ამიტომ იყო, რომ ინჟინრებს რაფიელ აგლაძეს და გიორგი სიორიძეს სტალინური პრემიები მიეკუთვნათ. რაფიელ აგლაძემ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოიპოვა. მისმა დისერტაციამ გამოჩენილ მეცნიერთა მაღალი შეფასება მიიღო.

მეტალურ მარგანეცში სუფთა ლითონის რაოდენობა 99,9 პროცენტს აღწევს. მას ფართო გამოყენება აქვს სპეციალური ფოლადების წარმოებაში. მეტალურგიის წამყვანი დარგის — ფოლადის წარმოებისათვის აუცილებელია მეტალური მარგანეცი. ამ ძვირფას ლითონს გვაძლევს საამქრო, რომლის უფროსია ამხ. გ. სიორიძე, ხოლო ტექნიკური ხელმძღვანელი ამხ. რ. აგლაძე.

შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერი იყო ოქტომბერი. თუ მიმდინარე წლის იანვარში გამოშვებულ ლითონის რაოდენობას 100 პროცენტად მივიღებთ, მაშინ ოქტომბრის მაჩვენებელი 300 პროცენტი იქნება. ასევე ითქმის პროდუქციის თვითღირებულებაზე. შარშანდელთან შედარებით ოქტომბერში ტონა ლითონი 40.000 მანეთით იაფი დაჯდა. საამქროში კი იგივე დანადგარებია, იგივე ადამიანები არიან.

ყველაზე დიდი გამარჯვება ის არის, რომ საამქროს სახელოვანმა კოლექტივმა უკვე შეასრულა ლითონის გამოშვების წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით სადღესასწაულოდ გამოშვებულია 350.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო წლის ბოლომდე სამშობლო კიდევ მიიღებს 1.100.000 მანეთის ლითონს.

სტახანოველები ამხ. დ. წითელაშვილი, ი. დანელია, ნ. ლუთიძე, შ. გუნცაძე დახელოვნებული ოსტატები არიან. ისინი აბაზანებიდან კატოდის ამოუღებლად ამჩნევენ პროცესის მსვლელობას, მის ნორმალურ სვლას, და დავალებას ორმაგად ასრულებენ.

მათ მხარდამხარ მიჰყვებიან შოთა ფირაძე, ოთარ ჭანტურიძე, ბექან ქობულიძე, შოთა ბეგლარაძე, უშანგი ცერცვაძე, ოთარ ნანეიშვილი. ისინი ჯერ კიდევ მეტალურგიული სასწავლებლის მსმენელებად ითვლებიან, მაგრამ იმდენად დაეუფლნენ თავის საქმეს, რომ უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ, კვალიფიციურ მუშებს სცვლიან, დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. მუშებისადმი გულისხმიერებას და მზრუნველობას იჩენენ ცვლის უფროსები ეთერ უნგიაძე, ნინო დათიაშვილი, სოსო ბარათაშვილი.

საოქტომბრო შეჯიბრებაში თავი ისახელა საამქროს ყველა სტახანოველმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მთელმა კოლექტივმა. ბარაქა მათ მარჯვენას!

**პ. ჭიოკაძე**

**ასობით ტონა ქვანახშირი გეგმის გადამეტებით.** საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ტყიბულელმა მეშახტეებმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. შახტებს შორის ოქტომბერში პირველ ადგილზე გამოვიდა გელათის მაღარო (მაღაროს გამგე პ. ლებანიძე, პარტბიუროს მდივანი ბ. კობახიძე). ამ მაღაროს საუკეთესო ადამიანებმა მ. ჭელიშვილმა და შ. ჯანგავაძემ ოქტომბერში ორ-ორი თვის გეგმა შეასრულეს.

გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების გეგმა სტალინისა და ლენინის სახელობის შახტების კოლექტივებმაც. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა საოქტომბრო საჩუქრად ექსპლოატაციისათვის გამზადა სამი ახალი ლავა. ამ შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი სადღესასწაულოდ ქვეყანას გეგმის გადამეტებით საჩუქრად აძლევს 400 ტონა ქვანახშირს.

ლენინის სახელობის შახტის ფანჩულიძის უბანზე ამხ. ი. გაბრიაძის ცვლამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ნახევარი თვის გეგმა შეასრულა და ეს მიღწევა გმირ წითელ არმიას მიუძღვნა.

**დ. ქათამაძე**

**მეტი მარგანეცის მადანი ნაკლები მუშახელით.** ახალი საწარმოო საჩუქრებით ხვდება დიდი ოქტომბრის XXVII წლისთავს ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს იმ უბნის კოლექტივი, რომელსაც ლენინის ორდენოსანი, მარგანეცის ნგრევის სახელოვანი ოსტატი ტრ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს. სექტემბეროქტომბრის განმავლობაში უბნის კოლექტივმა, რომელსაც 12 კაცით ნაკლები მუშახელი ჰყავს, გეგმა შეასრულა და საოქტომბრო საჩუქრად გეგმის გადამეტებით ქვეყანას მიუძღვნა რამდენიმე ასი ტონა მარგანეცი.

უბანმა წარმატებები მოიპოვა ახალმოსულთა საწარმოო სწავლებაშიც. გამოცდილმა ამწმენდმა ს. ოთინაშვილმა კვალიფიციურ ამწმენდებად მოამზადა ათი ახალმოსული, მბურღავმა ს. სერგეევმა თავისი პროფესია შეასწავლა ახალგაზრდა ა. გელაშვილს, რომელიც ახლა ოთხ-ხუთ სანგრევს ბურღავს. ასეთი მაგალითები ჭიათურაში მრავალია.

**1.300 ტონა ბარიტი.** ბარიტი ძვირფასი სამთამადნო ნედლეულია. მრეწველობის ზოგი დარგისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ეს მადანი უხვად მოიპოვება. ბარიტის საბადოების მექვენის სამთო რაიონის კოლექტივმა (უფროსი ს. ღვინერია, პარტბიუროს მდივანი გ. კახიძე, მემაღაროეთა კომიტეტის თავმჯდომარე რ. ქობულაძე) წლიური საწარმოო დავალება ვადაზე ორთვენახევრით ადრე შეასრულა. ოქტომბრის დღესასწაულისათვის მადნის მოპოვების წლიური გეგმა შესრულებულია 214 პროცენტით, მოსამზადებელი სამუშაოებისა — 103,6 პროცენტით და გეოლოგიური ძიების სამუშაოებისა—104,1 პროცენტით.

ბარიტის მაღაროების კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გათვალისწინებულ გეგმაზე გადამეტებით მისცეს ქვეყანას 1.300 ტონა ბარიტი.

**20 ახალი საავტომობილო მოტორი.** თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ქვეყანას საოქტომბრო საჩუქრად გაუმზადა 20 ახალი საავტომობილო მოტორი. ეს მოტორები გამოშვებულია წლიური გეგმის გადამეტებით. ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი კისრულობს წლის ბოლომდე ქვეყანას დამატებით მისცეს მრავალი ათეული მოტორი.

**თბილისის ქიმკომბინატის მოწინავე სტახანოველებმა** ვასილ მჭედლიძემ და გიგო ჯავახიშვილმა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების განმავლობაში მოაწყეს ახალი აპარატი, რომელიც დღე-ღამეში იძლევა რამდენიმე კილოგრამ მეტად ძვირფას და დეფიციტურ ერთ-ერთ ქიმიურ პროდუქტს. ეს აპარატი უკვე ამუშავდა. მიღებულია ახალი ძვირფასი ქიმიური პროდუქტის პირველი პარტია 50 კილოგრამის რაოდენობით. თავიანთი ეს ახალი გამოგონება სტახანოველებმა ვ. მჭედლიძემ და გ. ჯავახიშვილმა საოქტომბრო საჩუქრად მიუძღვნეს გმირ წითელ არმიას.

**1.774 მეტრი ქსოვილი.** ოქტომბრის დღესასწაულის წინ თბილისის სამკერვალო ფაბრიკებში დიდი მუშაობა გაჩაღდა ქსოვილების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა მარტო ოქტომბრის განმავლობაში გამოჭრის ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებით და დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერების შედეგად მოზოგეს 597 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი. 543 მეტრი ქსოვილი მოზოგეს მე-6 სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, 634 მეტრი — თბილისის საგალანტერეო ფაბრიკის მუშებმა. სულ სამივე ამ ფაბრიკაში მოზოგვილია 1.774 მეტრი სხვადასხვა ქსოვილი. ამ ქსოვილთაგან გეგმის გადამეტებით შეკერილია რამდენიმე ასეული კომპლექტი ტანსაცმელი.

**სამტრესტის № 8 ქარხანამ** (ქარხნის დირექტორი პ. კაკაჩიშვილი), რომელიც ძვირფას სასმელებს ამზადებს, 4 ნოემბერს შეასრულა წლიური საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით საოქტომბრო ზეიმის დღისათვის გამოუშვა 2.317 დეკალიტრი ძვირფასი სასმელები. 9 თვის განმავლობაში ქარხნის კოლექტივმა სახელმწიფოს მისცა 5.547.000 მანეთით მეტი მოგება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.



სურათზე: 1. ნ ქარხნის საუკეთესო სტახანოველი ზეინკალი გ. დიდმელაშვილი, დაჯილდოებული მედლით „კავკასიის დაცვისათვის". მან საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება 162 პროცენტით შეასრულა, 2. ახალშენის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მ. ლეჟავა შერჩევით ჰკრეფს მანდარინს.

## ახალგაზრდობა ფრონტს!

### კომკავშირული ორთქლმავალი

1942 წელი.

კაცის სული ჩაუდგამთ, რკინის ჯავშანი ჩაუცვამთ ბუმბერაზ მთებს. შუბლი შეუკრავს ჭაღარა კავკასიონს. მტერი მოსდგომია მის კალთებს. ცდილობს ბინძური ფეხით გადასთელოს იგი და საქართველოში შემოიჭრას.

სამშობლოს დასაცავად ამდგარა მთელი კავკასია, დიდი ბელადის ნებისყოფით ერთიან საბრძოლო ბანაკად შეკავშირებული.

ფრონტისაკენ მიჰქრიან საჭურვლითა და სურსათით დატვირთული ეშელონები. სიჩქარეს მიარღვევს № 5437 ორთქლმავალი.

მიგუგუნებს ორთქლმავალი და მის ბრიგადას ბორბლების ხმაურში ფიცივით ესმის სამი სიტყვა: შენთვის, საყვარელო სამშობლოვ!

თბილისის საორთქლმავლო დეპოდან წამოვიდა ეს ორთქლმავალი, კომკავშირული ორთქლმავალი, ახლა სამხედრო საჭურვლით დატვირთულ ვაგონებს ელვასავით რომ მიაქროლებს ფრონტისაკენ. მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების, ოთხი ძმადნაფიცის მტკიცე მარჯვენა მართავს მის საჭეს.

მათ ფიცი დასდეს: რადაც უნდა დაუჯდეთ, ძვირფასი ტვირთი ადგილზე მიიტანონ, და არა ერთხელ მიიტანონ! ყოველი დავალების შესრულებისას ოთხი ვაჟკაცი უხმოდ იმეორებს წმიდა სიტყვებს: შენი გამარჯვებისათვის, საყვარელო სამშობლოვ!

ვინ მოსთვლის რამდენი დაბრკოლება გადალახა ამ ორთქლმავალმა, ფაშისტური ძერების რამდენი დარტყმა აიცილა, ვინ მოსთვლის რამდენი საჭურველი მიაწოდა ჩვენს მებრძოლებს.

როცა ორჯონიკიძესთან წითელმა არმიამ გამანადგურებლად დაარტყა ფაშისტურ ურჩხულს და მტრისაგან ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლება დაიწყო, ამ გიგანტურ ბრძოლებში მონაწილეობდა № 5437 ორთქლმავლის ბრიგადაც იმ საჭურვლით, რომელიც მას თვეების მანძილზე მიჰქონდა ფრონტზე. დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ბრიგადამ არა ერთგზის დაიმსახურა მადლობა და მიიღო ჯილდო.

სამი ძმადნაფიცი — უფროსი მემანქანე კომუნისტი ნ. ჩიგოგიძე, კომკავშირელები პაპაშვილი და ქვრივიშვილი ისევ ამ ორთქლმავალზე მუშაობენ და თავდადებული შრომით ეხმარებიან ფრონტს. მეოთხე კი — კომკავშირელი ს. შენგელია ამჟამად უფროსი მემანქანეა, ბაქოსა და ერევნის მიმართულებით დააქროლებს შემადგენლობას, მისი ორთქლმავლის ბრიგადა მოწინავეა ხაზზე.

### ძმადნაფიცები

ახალგაზრდა ზეინკლების ბრიგადა ომამდე ჩამოყალიბდა თბილისის საორთქლმავლო დეპოში. ბრიგადა მაღალნაყოფიერი, თავდადებული შრომის მაგალითებს იძლეოდა. დაიწყო თუ არა დიდი სამამულო ომი, მან ფრონტული ბრიგადის სახელი მოიპოვა.

შეიკრიბნენ ბრიგადის წევრები. სიტყვა ბრიგადირმა დ. ჭავჭანიძემ აიღო:

— ამხანაგები ფრონტზე წავიდნენ. თითეულმა ორისა და სამის ნაცვლად უნდა ვიმუშაოთ. თქვენი იმედი მაქვს, ბიჭებო! დავცხოთ ჩვენებურად, კომკავშირულად! ვიმუშაოთ სამშობლოს გამარჯვებისათვის! რას იტყვით, ამხანაგებო?

ბრიგადის წევრებმა იმსჯელეს, დაკვირვებით ასწონ-დასწონეს საქმე, ყოველი წვრილმანი გაითვალისწინეს და ასე გადასწყვიტეს: ვთხოვოთ დეპოს ხელმძღვანელობას ნება დაგვრთოს 15 ნაცვლად 7 კაცმა ვიმუშაოთ ბრიგადაშიო. ნება, რასაკვირველია, დართეს.

ბრიგადა მკურნალობს ავადმყოფ ორთქლმავლებს. ორთქლმავლის ერთი რომელიმე დეტალის უხარისხოდ შეკეთება ნიშნავს მწყობრიდან მალე მის გამოყვანას, ზარალის მიყენებას წარმოებისათვის, სამშობლოსათვის.

სწრაფად და მაღალხარისხოვნად! — ასეთია ბრიგადის საბრძოლო ლოზუნგი. ბრიგადირი მემანქანეებთან საუბარში ორი-სამი დღით ადრე არკვევს, რომელ ორთქლმავალს რა ნაწილის შეკეთება სჭირდება. სანამ იგი შესაკეთებლად დადგებოდეს, ბრიგადას ყველა საჭირო დეტალი და იარაღი მზადა აქვს, ყველამ იცის რა უნდა გააკეთოს. დადგება თუ არა ორთქლმავალი, დაუყოვნებლივ იწყება მისი შეკეთება. ზუსტი, ორგანიზებული მუშაობით ბრიგადამ მიაღწია იმას, რომ 17,3 საათის ნაცვლად ორთქლმავლის გარეცხვით შეკეთებას 14,6 საათში ასწრებს.

გამარჯვებული ეგებება ბრიგადა დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ორი თვეა იგი მონაწილეობს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახალგაზრდა პატრიოტებმა თვეში გეგმის გადამეტებით 5 ორთქლმავლის შეკეთება იკისრეს. სექტემბერში შვიდი ორთქლმავალი შეაკეთეს, ოქტომბერში კი — ექვსი.

ამას წინათ ბრიგადამ ორი ახალგაზრდა ზეინკალი მისცა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას. მათ შესაცვლელად წინასწარ ორი ახალგაზრდა მოამზადა ბრიგადირმა ჭავჭანიძემ, კომკავშირელები ი. ხუციშვილი და ნ ჭუმბურიძე. ორივე 3 თვეში დაეუფლა სპეციალობას. პირველი მათგანი დღიურ დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებს, ხოლო მეორე — 160 და მეტი პროცენტით. მაღალნაყოფიერად მუშაობენ ბრიგადის სხვა წევრებიც.

თავდადებით მუშაობს ძმადნაფიცულთა ეს მებრძოლი პატარა კოლექტივი, ამიერ-კავკასიის რკინიგზის დეპოების ბრიგადებს შორის ერთ-ერთი მოწინავე ფრონტული ბრიგადა.

### ყველანი ერთად

ახალგაზრდები საორთქლმავლო დეპოს სული და გული არიან. ყველგან — დიდსა და მცირე საქმეებში სჩანს მათი გამრჯე ხელი, ფხიზელი თვალი და მჩქეფარე ენერგია. სამასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობს აქ. თითქმის ყველა მათგანს ჰყავს ფრონტზე ახლობელი ადამიანი — ძმა თუ მეგობარი. ისინი იქ, ფრონტზე საკუთარი სისხლის ფასად აჩქარებენ მტერზე საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამს, ესენი კი აქ, ზურგში ენერგიის დაუზოგავად შრომობენ საყვარელი სამშობლოს გამარჯვებისათვის. თითქმის სამასივე საბრძოლო დავალებას პირნათლად ასრულებს.

რომელი ერთი უნდა ჩამოსთვალოს ადამიანმა!

აი, თუნდაც, კომკავშირელი ნიკოლოზ პაპაშვილი. ოთხიოდე წლის წინათ იგი კოლმეურნეობაში იყო და უფროსებთან ერთად თავმომწონედ იჯდა ტრაქტორის საჭესთან. მაშინ ვერავინ დაიჯერებდა გულუბრყვილო ბიჭუნას, თუ მის უღრუბლო და მზიან ცხოვრებას ვინმე დაემუქრებოდა. მაგრამ აი ბარბაროსულად შემოესია მტერი ჩვენს აყვავებულ სამშობლოს და ნიკოლოზ პაპაშვილის შეგნებაში გარდატეხა მოხდა. ახლა პაპაშვილი სახელოვანი ზეინკალია. იცის, რომ მისი და მისთანა მილიონობით საბჭოთა პატრიოტის შრომა, წითელი არმიის გმირულ ბრძოლასთან შეერთებული, ისევ მალე დაუბრუნებს ჩვენს ქვეყანას სიხარულით სავსე ცხოვრებას.

ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელები ა. მჭედლიშვილი, პ. მაზმიშვილი, ი. გასიტაშვილი, კომკავშირული ორთქლმავლის ბრიგადირი პ. ფხაკაძე, რომლის ბრიგადა 5 თვეა საორთქლმავლო დეპოს გარდამავალ დროშას ინარჩუნებს, ზეინკალი ქალიშვილები ტ. გიორგაშვილი და გ. დიასამიძე ერთმანეთს ეჯიბრებიან შრომაში და მაღალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ.

ყველა ისინი ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთან ერთად შრომობენ და იბრძვიან შენი გამარჯვებისათვის, საყვარელო სამშობლოვ!

**მ. კალანდაძე**

## დარჩელი

ეს იყო მანამ, ვიდრე ამობრწყინდებოდა მზიური ოქტომბერი.

გულდარდიანი და მკლავმოქანცული ოდიშელი გლეხკაცი შუაღამით გზას რომ შერჩებოდა, ცას და ვარსკვლავეთს მისძახოდა თავის სატანჯველს. მეგობრულ მასლაათს უმართავდა თავის ჯონქა-ხარებს, მიაჭრიალებდა მამაპაპურ ურემს და ნელინელ მიიმღეროდა უსიერ გზაზე. მეგრულად გამოთქმულ ხმანაზ სიმღერაში იგი აქსოვდა სულის სიმწუხარეს, აუგს ეუბნებოდა წუთისოფლის სიავეს, ქვეყანას ამცნობდა გლოვისზარივით სევდიან და მზის ამოსვლასავით ლამაზ და ნათელ ურმულ გალობას:

„აშო, ჩელა, დარჩელიშა
ვემმართენა შქასერიშა".*)

სოფელ დარჩელში უნდა გაეთია ღამე ზღვისპირისკენ მიმავალ მგზავრს. ამიტომაც იჩქაროდა იგი. იწვა თავისივე ხელით გაკეთებულ ურემზე და საალერსო სიმღერებს არ აკლებდა ჩელას და ბუსქას (ხარების სახელია). სახლში შევეიანება ალონებდა და დარჩელში დარჩენა არ ეწადა.

ახლა სხვა სიმღერას მღერის დარჩელელი კოლმეურნე. ოქტომბრის სიხარულმა მზის შუქივით შეანათა მის ოდა-სახლში. ბედნიერებამ იქ იპოვა ბინა დღემარადი.

ორი ძარღვმაგარი კოლმეურნეობით ამაყობს ეს სოფელი ამჟამად. ერთი ორსანტიის შემდეგ ყველაზე დიდია მთელ რაიონში. ეს არის კოლმეურნეობა გაზეთ „კომუნისტის" სახელობისა.

მე მინდა გიამბოთ ამ უკანასკნელზე.

დიდია-მეთქი, აი რატომ ვამბობ: 367 ჰექტარი სიმინდის ყანები აქვს. 65 ჰექტარი სოია დასთესა, ათზე — ციტრუსი აქვს გაშენებული, ორმოცდაათზე—თხილნარი, ოთხზე — ციტრუსთა სანერგე, ოთხზე — ბოსტანი და ერთ ჰექტარზე — ბაღი.

კიდევ: ხუთი კეთილმოწყობილი ფერმა, სადაც ძროხაც მრავლად ჰყავთ, ღორიც, ცხენიც, ფრინველიც და ფუტკარიც.

კიდევ: ალალი გული, შრომის სიყვარული და დალოცვილი მარჯვენა!

ვეკითხები კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მიშა შონიას:

—რა ნობათს უმზადებთ დიად დღესასწაულს?

— გამარჯვების ჭირნახულს, და პირსავსე კალოს! — მოგვიგო მან და იქითკენ მიგვახედა, სადაც კოლმეურნენი მუშაობდნენ. ყველა ბრიგადა მოვიარეთ, ყველა მუშაკს გამოვესაუბრეთ.

— წლევანდელ ჭიროვას (ხშირწვიმიანობას) რა ვუთხრათ, თორემ დარჩელში ბეღლებიც ვერ დაიტევდა სიმინდის მოსავალს, ისე იყო მოვლილი ნათესები! — გვითხრა ერთმა.

წუთი რა არის, წუთიც არ მიდის უქმად. ქალი და კაცი, ჭაბუკი და ბერიკაცი, დიდი და პატარა საკოლმეურნეო ყანებში შრომობს. ვინ სიმინდს სტეხს, ვინ ბეღელში ეზიდება, ვინ არჩევს და ოქროსფერ ტაროებს შეჰხარის.

„კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრები გულგახარებულნი არიან. ჰექტარზე წელს საშუალოდ თექვსმეტი ცენტნერი სიმინდი მოდის, შარშან კი მხოლოდ ექვსი ცენტნერი აიღეს. ბარაქიანად მოვიდა სოიაც. სახელმწიფო ვალდებულება პირველ დღეებშივე პირნათლად მოიხადეს.

შარშანაც მონდომებით შრომობდნენ აქაურნი. მაგრამ წლევანდელმა აწყობილმა საქმიანობამ, შრომის საუცხოო ორგანიზაციამ და მხარიმხარ მიყოლამ უკეთესი ნაყოფი მოგვცა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელს ამხ. მ. შონიას.

მთელი სოფელი ერთპირად ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველმა ბრიგადამ და მისმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ნაჭყებიამ. პირველი ბრიგადა მართლაც რომ ყველაფერში პირველია! აქ უხვი ჭირნახული მოიყვანეს. სიმინდის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე ოც ცენტნერს გადააჭარბა.

პირველი ბრიგადის ოცდათორმეტი წევრიდან მოწინავეა ჭარმაგი კოლმეურნე დიმიტრი ქიქებაია. ხვნა-თესვა რომ იყო, იგი პირველობდა; თოხნა-მარგვლაში ყველას გაუსწრო და ჭირნახულის აღებისას არავის უთმობს წინა ადგილს. ცოლიც და ორი ქალიშვილიც გვერდში უდგანან შრომის ენთუზიასტ კოლმეურნეს. მისმა ოჯახმა პატიოსანი შრომით უკვე რვაასამდე შრომადღე ჩაიწერა კოლმეურნის წიგნაკში.

ტარასი ჯახუამ ავერ-აგერ ექვს ათეულ წელიწადს გადააბიჯა, მაგრამ გარჯას როდი შეუბრუნა ზურგი.

— ომია, მახარია, ომი. ჯერ კიდევ დაგვჭირდება ოფლის მოწურვა. მალე მტერზე გამარჯვებული ბიჭები მოგვესწრებიან და მოგვასვენებენ! — ამბობს ხშირად ტარასი, რომლის ვაჟი ვალერიანი სამამულო ომის ფრონტზეა. ტარასი ჯახუას ქალიშვილი — ლუნა რგოლის ხელმძღვანელია და ხელგამრჯე მამას არ ჩამორჩება მუშაობაში.

ალექსანდრე ნაჭყებიას ბრიგადიდან აღსანიშნავია მ. კორკელიას, ი. ქიქებაიას, ს. ბარამიას და ვ. ქიქებაიას დაუზარელი შრომა.

უ. ნაჭყებიას ბრიგადიდან წარჩინებული სტახანოველის სახელი დაიმსახურა 17 წლის კომკავშირელმა კოტე ჭანტურიამ. მოწინავენი არიან აგრეთვე ხ. მირცხულავას, მ. სიჭინავას, ქ. სორდიას და ვ. სიჭინავას ბრიგადები. სახელგებულ შრომის ენთუზიასტთა გრძელ სიას ამშვენებენ: მ. შელია, მ. ბერაია, მ. ბოკუჩავა, ლ. შელია და სხვანი მრავალნი.

ისინი საკოლმეურნეო მინდვრებზე გულდადებული გარჯით დახმარების ხელს უწვდიან ჩვენს მეომარ ლომგულთ — საოცნებოდ დაჭრილი ფაშისტი ურჩხულის საბოლოო განადგურებაში.

...და როდესაც გამარჯვებული სახლიკაცები შინ დაბრუნდებიან, მათ პირნათლად შეხვდებიან დარჩელელი კოლმეურნეებიც.

რა ტკბილი იქნება ეს შეხვედრა, რა დიდებული!..

**ხუტა ბერულავა**

სოფელი დარჩელი, ზუგდიდის რაიონი.

*) აქეთ, ჩელა, დარჩელისკენ ვერ მივაღწევთ შუაღამემდე.

## დედა-სამშობლოსათვის, ჩვენი გამარჯვებისათვის!

### საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა საოქტომბრო საჩუქრები

**15 მილიონი ცალი ციტრუსი.** ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატივით შავი ზღვის სანაპიროზე ურეკის გამოუყენებელ მიწებზე მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლისა და სხვა ციტრუსოვანი კულტურების ბაღი გაშენდა. ეს იყო ათი წლის წინათ. იქ მოეწყო ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობა, რომელშიც გაშენებულია 88 ათასი ციტრუსის ხე.

საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს არ ახსოვთ ისეთი უხვი მოსავალი, როგორიც ამჟამად არის. წელს მეურნეობა 15 მილიონ ციტრუსის ნაყოფს ჩააბარებს სახელმწიფოს, ორი მილიონით მეტს, ვიდრე შარშან.

მანდარინის კრეფა დაიწყო. წარმატებით სრულდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. ნ. ნაგუსტმა 30 ოქტომბერს 520 კილოგრამი მანდარინი მოჰკრიფა, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 200 კილოგრამისა, ო. პუკალოვამ—480 კილოგრამი, ნ. ბარგოძემ—500 კილოგრამი.

მრავალი მუშა და სპეციალისტი თავდადებულად მუშაობს მეურნეობის წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად. პირველი აგროუბანი, რომელსაც რ. ჯაჯანიძე ხელმძღვანელობს, დღეში 7 ტონა მანდარინს კრეფს. კარგად მუშაობენ მესამე და მეოთხე აგრორაიონების უფროსები —ბ. მეგრელიძე და ა. ვაჩეიშვილი, აგროტექნიკოსები ს. ღლონტი, მ. ბუდეევა, გ. კრილენკო.

საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ორდენოსანი შ. გოგუაძე) გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების მყნობის გეგმა. 260 ათასი ძირი ნამყენიდან 90 პროცენტმა გაიხარა. ციტრუსების საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის ყველა პირობა მოამზადეს. შეფუთვა დაიწყო.

ნაყოფის აღებისათვის მომზადდა საკმაო რაოდენობის ყუთები, საკრეფი ჩანთები, მაკრატლები. საქართველოს კონსერვხილტრესტმა მეურნეობასთან სპეციალურად მოაწყო შემფუთავი ქარხანა, რომელიც რვა მილიონ ცალ ნაყოფს გადაამუშავებს.

**ლ. ლოლაძე**

**ათი ტონა ტუნგოს ნაყოფი.** სამამულო ომის დღეებში კოლმეურნეობიდან ჯანღონით სავსე ვაჟკაცები გაემგზავრნენ ფრონტზე საყვარელი საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. მარტო მეორე ბრიგადას გამოაკლდა რამდენიმე ვაჟკაცი. ფრონტზე წავიდა ამ ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ნოზაძეც. ამ დღიდან დამავალეს მეხელმძღვანელობა მეორე ბრიგადისათვის. ახალი ძალით შევუდექი მუშაობას, რომ ჩემი წვლილი შემეტანა საზიზღარ მტერზე გამარჯვების საქმეში.

17 ჰექტარი ჩაის პლანტაციის, 3,3 ჰექტარი ტუნგოს, 12,9 ციტრუსოვანთა ნარგავების, 18 ჰექტარი სიმინდის და სხვა კულტურათა მოვლისათვის ენერგიული შრომა გავაჩაღეთ. დაიწყო შეჯიბრება რგოლებსა და თვითეულ წევრს შორის ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ბრიგადაში დისციპლინის განმტკიცებამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების გაზრდას. ყველა სამუშაო წინასწარ დავგეგმე. თვითეულმა კოლმეურნემ იცის, თუ რა სამუშაოს შესრულება მოუხდება ყოველ მორიგ დღეს.

ომიანობის დღეებში კოლმეურნეებმა შრომითი მამაცობის მაგალითები გვიჩვენეს. 1942 წელს წარმატებით შევასრულეთ საწარმოო დავალება. გეგმით გათვალისწინებული 23 ტონა ჩაის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 27,8 ტონა ჩაის ფოთოლი. 1943 წელს 26 ტონის ნაცვლად მოვკრიფეთ 28 ტონა და 613 კილოგრამი ჩაი. ასევე იმატა ტუნგოსა და ციტრუსების მოსავლიანობამ, თუ შარშან 5 ტონა ტუნგოს ნაყოფი ჩავაბარეთ, წელს სახელმწიფოს 10 ტონა ტუნგოს მივცემთ.

ბრიგადამ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში გაიმარჯვა და პირველობა მოიპოვა. შარშან დამაჯილდოვეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის", მიმიღეს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრად. ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩემში პასუხისმგებლობის გრძნობა და უფრო გავაძლიერე მუშაობა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლით ბრიგადამ ვადამდე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. სტახანოვური შრომით თავი ისახელეს პირველი რგოლის ხელმძღვანელმა სულთან ბერაძემ, მეორე რგოლის ხელმძღვანელმა ემინე ბერაძემ და მრავალმა სხვამ.

**ასიე ბერაძე**

ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი.

**23.025 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.** ჩაის კრეფის ცნობილმა ოსტატმა ხაჯერ კაკაბაძემ წელს ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ერთ დღეს მან მოჰკრიფა 4.828 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და მიღებული თანხა 7.608 მანეთი თავდაცვის ფონდში შეიტანა.

ხაჯერ კაკაბაძე ხელმძღვანელობს ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის პირველ რგოლს, რომელსაც ნაკისრი ვალდებულებით სეზონში უნდა მოეკრიფა 18.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ფაქტიურად მოჰკრიფა 23.025 კილოგრამი. რგოლმა სიმინდის მოსავლის აღებაც დაამთავრა და ახლა ყოველმხრივ მზად არის ციტრუსების კრეფის დაწყებისათვის. წელს სახელმწიფოს მისცემენ 700 ათას ცალ მანდარინს, 3.000 ცალზე მეტ ლიმონს.

ხაჯერ კაკაბაძის მაგალითს ჰბაძავენ მისი მოწაფეები. ისინიც ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებით ხვდებიან ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ვინ არ იცნობს ქობულეთის რაიონში თენზე ხალვაშს, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა 2 ტონა ჩაი მოეკრიფა. მან ფაქტიურად მოჰკრიფა 3 ტონა ჩაის ფოთოლი. პირველი ბრიგადის წევრმა ზექიე დოლიძემ მთელს სეზონში 5 ტონის ნაცვლად მოჰკრიფა 6,5 ტონა ჩაის ფოთოლი. ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს ემინე დუმბაძემ, ემინე თურმანიძემ.

ხაჯერ კაკაბაძეს პირადი დანაზოგი ფრონტის დასახმარებლად შეაქვს. მან პირველმა შეიძინა ნაღდ ფულად 3.000 მანეთის ფულისა და ნივთების მეოთხე ლატარიის ბილეთები.

დაე დღემუდამ იზრდებოდეს ხაჯერისთანა სახელოვან ადამიანთა რიცხვი ჩვენი საყვარელი დედა-სამშობლოს სადიდებლად.

**ნ. პლატონიძე**

**მეტი პური, მეცხოველეობის პროდუქტები.** კასპის რაიონის კოლმეურნენი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით ხვდებიან.

მრავალი კოლმეურნე და ტრაქტორისტი მუშაობს ორისა და სამის ნაცვლად. გადაჭარბებით სრულდება სამუშაოთა გეგმები. იზრდება სტახანოველთა რიგები. მარტო მეჭარხლეობაში წელს გამოვლინებულია 300-მდე ახალი სტახანოველი. მათ შორის არიან ხუთასოსნები და ათასოსნები შ. ბეგიაშვილი და ზ. ვანიშვილი (ლამისყანის კოლმეურნეობა), ს. ლაშქარაშვილი და ს. ქათამაძე (ქვემო ხანდაკი), ვალიშვილი (ხვითის კოლმეურნეობა) და მრავალი სხვა.

კოლმეურნეობებმა წელს მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს შარშანდელზე 7-ჯერ მეტი შაქრის ჭარხალი. სოფელ ქვემოხანდაკის (თავმჯდომარე მ. ადამაშვილი), ხვითის (თავმჯდომარე გ. ვალიშვილი), შუა-უბნის, ჩობალაურის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 400-600 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი მოიყვანეს. რაიონმა ფრონტსა და ქვეყანას მისცა 215.000 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი.

წელს მარცვლეული დათესილი იყო 15.914 ჰექტარი. მოსავლიანობის ზრდის გეგმები გადამეტებით შესრულდა. ურწყავ მიწებზე ჰექტარზე საშუალოდ 8-14 ცენტნერი პური, ქერი და სიმინდი მოიყვანეს, ცალკეულ კოლმეურნეობებში კი—ორ-სამჯერ მეტი. წარმატებით შესრულდა მარცვლეულის დამზადების გეგმები.

გადაჭარბებით შესრულებულია მსხვილფეხა რქიანი საქონლის, აგრეთვე ცხვრისა და თხის, ღორის მოშენების, კვიცების გამოზრდის გეგმები. ფერმებს შეემატა 250 სული მსხვილფეხა საქონელი, 9.000-მდე ცხვარი და თხა, ბევრი ღორი და ქვთამი. თითქმის მთლიანად შენარჩუნებულია წელს მიგებული ხბოები, ბატკანი და თიკანი.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებით ისახელა თავი ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობმა" (თავმჯდომარე გ. მანჯგალაძე), რომელსაც გადაეცა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა. დიდ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე კასპის, ქვემოხანდაკის, იგოეთის, რგვალი ჭალის, ქვემოჭალის კოლმეურნეობებმა. რაიონმა ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური გეგმები.

**ტ. თოდრაძე**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 5 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

5 ნოემბრის განმავლობაში აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ გოლდაპის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ბუდაპეშტის მიმართულებით მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს დასახლებული პუნქტები ფოკორუ, ოჩკაი, სერეში, ვარნიაში, სილაში-იშტვანი, ვაშადი, ილუ, ანდრაში, ტაკშონი. დაზუსტებული ცნობებით, 2, 3 და 4 ნოემბრის ბრძოლებში მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3 ათასი გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამრიგად, 4 ნოემბრის ბოლოსათვის იმ ტყვე გერმანელი და უნგრელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების რაოდენობა, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა მდინარეებს ტისასა და დუნაის შუა წამოიყვანეს, 10.518 კაცამდე გადიდდა.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

4 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 58 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი.

## 6 ნოემბრის ოპერატიული ცნობა

6 ნოემბრის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

5 ნოემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 16 ტანკი.

* * *

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ გოლდაპის რაიონში, მოწინააღმდეგემ ამ უკანასკნელ დღეებში მძიმე ზარალი განიცადა და მნიშვნელოვნად შეასუსტა თავისი აქტივობა. გასული დღის მანძილზე საბჭოთა ნაწილებმა მოიგერიეს რამდენიმე იერიში მტრის ქვეითი ჯარისა, რომელსაც ეხმარებოდა ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების მცირე რაცხვი. მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და დამწვარია მოწინააღმდეგის 5 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი.

* * *

ქალაქ პულტუსკის სამხრეთით კანტიკუნტად სწარმოებდა საარტილერიო სროლა. ერთ უბანზე მესანგრეთა ჯგუფი ზემდეგ ანდრეევის მეთაურობით ჩვენი თავდაცვის წინა კიდეს იქით გავიდა გზათა გასაყარის დასანაღმავად. საბჭოთა მებრძოლებმა შენიშნეს გერმანელთა ტანკი, რომელიც საფრიდან უშენდა ჩვენს წინა კიდეს. ზემდეგმა ანდრეევმა დანაღმა ტანკის უკანდასახევი გზები. გერმანელთა ტანკი რამდენიმე გასროლის შემდეგ წავიდა თავისი ჯარების განლაგებისაკენ, ნაღმებს წააწყდა, აფეთქდა და დაიწვა.

ამ უკანასკნელ დღეებში მფრინავმა გამანადგურებლებმა ამხანაგებმა იაკიმოვიჩმა, მასლოვმა, ვასილიევმა, კოლცოვმა და ბლიუნინმა საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა ორორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ჩეხოსლოვაკიაში, ქალაქ უჟგოროდის დასავლეთით, გვარდიის ნ შენაერთის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მაღლობზე, სადაც გერმანელები იყვნენ გამაგრებულნი. ჩვენმა გვარდიელებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა, დაიკავეს მაღლობი და გამაგრდნენ ახალ ზღუდეზე. სხვა უბანზე გერმანელთა ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა სცადა იერიში მოეტანა საბჭოთა პოზიციებზე. ჩვენმა ქვეითებმა არტილერიის დახმარებით უკუაგდეს ჰიტლერელები და დიდი ზარალი მიაყენეს მათ. მეტყვიამფრქვევე უმცროს სერჟანტ სერგიენკოს პოზიციის მიმართულებით გერმანელთა ტანკები მოდიოდნენ, მათ კი მოჰყვებოდნენ ჯავშანს ამოფარებული გერმანელი მეავტომატეები. სერგიენკო დადარაჯდა, გამოუშვა ტანკები, შემდეგ კი სროლით მოსწყვიტა მათ მეავტომატეები. მამაცმა მეტყვიამფრქვევემ ოცზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტა. დღის განმავლობაში სხვადასხვა უბანზე ტყვედ წამოყვანილია 500-ზე მეტი გერმანელი და უნგრელი.

* * *

ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელ გენერალ-ფელდმარშალ კეიტელის ბრძანება სათაურით—„ჯარისკაცთა მაროდიორობა გერმანიის ტერიტორიაზე“. ბრძანებაში ნათქვამია: „მიღებული ცნობებით, გერმანიის ევაკუირებულ რაიონებში, რომლებიც საომარი მოქმედების ზონას ეკუთვნიან, ჯარისკაცებს ბრალი მიუძღვით უმძიმეს დანაშაულობებში გერმანელ თანამოქალაქეთა მიმართ. ისინი მისცვივდებოდნენ ხოლმე ევაკუირებულთა ქონებასა და მარაგს და ძარცვავდნენ მცხოვრებლების მიერ მიტოვებულ ბინებს. უფროსები არა თუ არ ერეოდნენ საქმეში, არამედ ნაწილობრივ თვითონაც კი იღებდნენ მონაწილეობას ამ სამარცხვინო მოქმედებაში“.

გერმანელ გენერალ-ფელდმარშალ კეიტელის ბრძანება მოწმობს, რომ გერმანელმა ჯარისკაცმა, რომელიც გერმანელების მიერ ოკუპირებულ რაიონებში გავარჯიშდა ძარცვა-გლეჯაში, მაროდიორობასა და მკვლელობაში, თავის თანამემამულეთა ძარცვა იწყო. ახლა, როცა წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან განდევნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, ჰიტლერელებს სურთ სახელდახელოდ გადააჩვიონ გერმანელი ჯარისკაცი მის მიერ შეთვისებულ ჩვეულებებსა და წესებს, რომლებიც წლობით ინერგებოდა გერმანიის არმიაში. ამაო შრომაა! ჰიტლერულმა რეჟიმმა წარმოშვა სინიდისსა და პატიოსნებას მოკლებული არმია. მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა და ხოცვა ჯარისკაცის სათნოებად არის მიჩნეული გერმანიის არმიაში. გერმანელ ფაშისტთა არმიის ჯარისკაცი ომს უყურებს როგორც შეძენისა და გამდიდრების წყაროს. იგი მთელი რიგი წლების განმავლობაში სპეციალდებოდა ძარცვასა და მკვლელობაში. ეს მისი მეორე ბუნება გახდა. მას ვეღარ ალაგმავს ვერავითარი ბრძანება. ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო.

კეიტელის ბრძანება საინტერესოა კიდევ ერთი მხრივ. ამ უკანასკნელ ხანს ჰიტლერელები თითქმის ყოველდღე სთითხნიან ნაყალბევს საბჭოთა ჯარების მხეცობის შესახებ აღმოსავლეთ პრუსიაში — „მნახველთა“ ჩვენებებს, პლაკატებს, კინოფილმებს და ყოველგვარ სხვა მონაჭორს. ზემოთმოყვანილი გერმანული ბრძანებიდან სჩანს, თუ ნამდვილად ვინ ეწევა ძარცვასა და ავაზაკობას აღმოსავლეთ პრუსიაში. მაროდიორობასა და ყაჩაღობას გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები ეწევიან. ამას ადასტურებს გერმანელი გენერალ-ფელდმარშალი კეიტელი.

# მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი

გუშინ, 6 ნოემბერს, საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. სცენის სიღრმეში მაღლა სჩანს ვერცხლისფერი დიდი ზომის მედალიონი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გამოსახულებით. იქვეა მხატვრულად შესრულებული პორტრეტები ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების — ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიასი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები —კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, ვ. ბარამია, არმიის გენერალი ი. ტიულენევი, მ. ჯაში, ს. ხოშტარია, ვ. ბუჯიაშვილი, ა. თოფურიძე, ს. იმხანოვი, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. გრიგორიანი, ზ. კეცხოველი, ბ. ნანიტაშვილი, ეფიმოვი, ხოროზრიხი, გლუშენკოვი, ვ. ჩერქეზია, გ. გოჩაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ი. ტალახაძე, გ. კიკნაძე, სოციალისტური შრომის გმირები—გრ. კიკნაძე, შ. კოხრეიძე, ა. წიკლაური, აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. კეცხოველი, პროფესორი კ. ჭრისთავი, ს. ჩიქოვანი, ა. კვაჭაძე, ვ. ხატიაშვილი, ა. ცქიტიშვილი, შ. წერეთელი, ო. ეგაძე, ვ. სალაძე, ზ. ქურდიანი, ა. ჯორბენაძე და სხვ.

საზეიმო სხდომას ხსნის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. გოჩაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივანს ამხ. ნ. გაბუნიას წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას სხდომის საპატიო პრეზიდიუმი.

**— საბჭოთა კავშირის მარშალი, დიდი სტალინი!**

სხდომაზე დამსწრენი უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით გამოხატავენ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი, რომლის გენიალური წინამძღოლობით წითელმა არმიამ უკვე განდევნა ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მტრის ურდოები და ახლა სპობს მათ საკუთარ ბუნაგში.

საპატიო პრეზიდიუმში ხანგრძლივი ტაშის გრიალით ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს: **მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, შჩერბაკოვს და ვოზნესენსკის.**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

თავის მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს იმ გმირული და ბრწყინვალე გამარჯვებებით აღსავსე გზაზე, რომელიც განვლო წითელმა არმიამ გენიალური მხედართმთავრის დიდი სტალინის წინამძღოლობით. მომხსენებელი ლაპარაკობს უძლეველი საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობაზე, საქართველოს მშრომელთა თავდადებულ მუშაობაზე მშობლიური წითელი არმიის დასახმარებლად, ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის — მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობაზე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანთა შრომითს თავდადებაზე.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი აღნიშნავს ამხანაგ ლ. პ. ბერიას უდიდეს დამსახურებას კავკასიის გმირული დაცვის საქმეში, რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან, ლაპარაკობს ქართველი ხალხის საამაყო შვილებზე, რომლებიც ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა შვილებთან მხარდამხარ წარმატებით ანადგურებენ მტერს მისსავე მიწა-წყალზე, ლაპარაკობს კავკასიის დამცველებზე, რომელთაც ახლა ეძლევათ საამაყო ჯილდო—მედლები „კავკასიის დაცვისათვის“.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანს არა ერთხელ აწყვეტინებენ მოხსენებას მქუხარე ტაშით ხალხთა ბელადის დიდი სტალინის, სახელოვანი წითელი არმიის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას პატივსაცემად.

სრულ 8 საათზე დაიწყო ტრანსლაცია მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომისა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს. დამსწრეთა მთელი ყურადღება, ფიქრები და გრძნობები მიპყრობილია მშობლიური, სახელოვანი წითელი დედაქალაქისაკენ.

აი რეპროდუქტორებიდან გაისმის, რომ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა

**— თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ სტალინს.**

რადიოთი მოისმის და დარბაზში მას უერთდება მხურვალე მისალმებათა შეძახილები, ტაშის გრიალი საყვარელი ბელადის, ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორის დიდი სტალინის პატივსაცემად.

გაისმა ნაცნობი, მშობლიური ხმა დიდი ბელადისა. დაძაბულად, უაღრესი ყურადღებით ისმენენ დარბაზში მყოფნი დიდი სტალინის ბრძნულ, ისტორიულ სიტყვებს. ყოველი სიტყვა, ყოველი ბგერა ღრმად სწვდება გულში თვითეულ მსმენელს. არა ერთხელ აწყვეტინებენ მოხსენებას მქუხარე ტაშით იქ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში და ამ ტაშს თან ერთვის აქ, თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომის დარბაზში მყოფთა სიხარულით და სიამაყით აღსავსე ოვაცია.

ტრანსლაცია დამთავრდა. წინადადება შემოდის მისალმება გაეგზავნოს ამხანაგ სტალინს.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ს. იმხანოვს არა ერთხელ აწყვეტინებენ მისალმების ტექსტს მხურვალე ოვაციებით დიდი სტალინის პატივსაცემად.

უდიდესი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი ოვაციით მიღებულ იქნა მისალმება დიდი სტალინისადმი.

დარბაზში ახალი ძალით ჰქუხს ტაში, როდესაც თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოსულია წინადადება ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლების—ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიასათვის მისასალმებელ დეპეშათა გაგზავნის შესახებ. ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვისადმი მისალმების ტექსტი წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. ხოშტარიამ, ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი მისალმებისა—საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გიგოშვილმა.

მქუხარე ოვაციით მიღებულ იქნა მისალმებები ამხანაგების—ვ. მ. მოლოტოვისა და ლ. პ. ბერიასადმი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

# წითელ არმიაში ნამსახურობისათვის დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 4 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, წითელ არმიაში ნამსახურობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან მარშლები, გენერლები და ოფიცრები, აგრეთვე ზევადიანი სამსახურის სერჟანტთა შემადგენლობა.

**დაჯილდოებულთა შორის არიან**

საბჭოთა კავშირის მარშლები — ს. მ. ბუდიონი, ა. მ. ვასილევსკი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. ა. გოვოროვი, გ. კ. ჟუკოვი, ი. ს. კონევი, რ. ი. მალინოვსკი, კ. ა. მერეცკოვი, კ. კ. როკოსოვსკი, ი. ბ. სტალინი, ს. კ. ტიმოშენკო, თ. ი. ტოლბუხინი, ბ. მ. შაპოშნიკოვი.

არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი.

ავიაციის მთავარი მარშლები — ა. ე. გოლოვანოვი, ა. ა. ნოვიკოვი.

ავიაციის მარშლები — ფ. ა. ასტახოვი, გ. ა. ვოროჟეიკინი, ნ. ს. სკრიპკო, ფ. ი. ფალალეევი, ს. ა. ხუდიაკოვი.

არტილერიის მარშლები — მ. ნ. ჩისტიაკოვი, ნ. დ. იაკოვლევი.

ჯავშანსატანკო ჯარების მარშლები — პ. ა. როტმისტროვი, ი. ნ. ფედორენკო.

საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვოროხიოვი.

კავშირგაბმულობის ჯარების მარშალი ი. ტ. პერესიპკინი.

არმიის გენერლები — ა. ი. ანტონოვი, ი. ხ. ბაგრამიანი, ა. ი. ერემენკო, გ. თ. ზახაროვი, ი. ი. მასლენიკოვი, ი. ე. პეტროვი, მ. ა. პურკაევი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ი. ვ. ტიულენევი, ა. ვ. ხრულევი, ი. დ. ჩერნიახოვსკი.

გენერალ-პოლკოვნიკები — პ. ა. არტემიევი, პ. ი. ბატოვი, პ. ა. ბელოვი, ვ. ე. ბელოკოსკოვი, ი. ვ. ბოლდინი, კ. ნ. გალიცკი, ვ. ვ. გლაგოლევი, თ. ი. გოლიკოვი, ა. ვ. გორბატოვი, ვ. ნ. გორდოვი, ა. ა. გრეჩკო, დ. ნ. გუსევი, ა. ს. ჟადოვი. ა. ს. ჟელტოვი, მ. ი. კაზაკოვი, მ. პ. კოვალიოვი, კ. ა. კოროტეევი, ნ. ი. კრილოვი, პ. ა. კუროჩკინი, დ. დ. ლელიუშენკო, კ. ს. მოსკალენკო, ვ. ს. პოპოვი, ნ. პ. პუხოვი, მ. ა. რეიტერი, პ. ლ. რომანენკო, პ. ს. რიბალკო, ი. ვ. სმოროდინოვი, ს. გ. ტროფიმენკო, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. ს. ხოზინი, ვ. დ. ცვეტაევი, ნ. ე. ჩიბისოვი, ი. მ. ჩისტიაკოვი, ვ. ი. ჩუიკოვი, ს. მ. შტემენკო, მ. ს. შუმილოვი, ე. ა. შჩადენკო.

სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკები — ნ. ი. ბირიუკოვი, ს. ი. ბოგდანოვი, მ. ე. კატუკოვი, ა. გ. კრავჩენკო, ი. ზ. სუსაიკოვი.

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკები — კ. ა. ვერშინინი, ს. კ. გორიუნოვი, გ. ვ. გურიანოვი, ს. ა. კრასოვსკი, ნ. თ. ნაუმენკო, ნ. თ. პაპივინი, ს. ი. რუდენკო, ვ. ა. სუდეცი, ტ. ტ. ხრიუკინი, ნ. ს. შიმანოვი.

სამედიცინო სამსახურის გენერალ-პოლკოვნიკი — ე. ი. სმირნოვი და სხვები.

# მისალმებანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის გამო

**ოტავა**, 4 ნოემბერი. (საკდესი). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით, საკდესის განყოფილებამ ოტავაში კანადა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნაციონალური საბჭოს მეშვეობით მიიღო მრავალი მისალმება ამხანაგ სტალინის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხისადმი კანადის ფედერალური მთავრობის წევრებისაგან, პროვინციათა მთავრობების მეთაურების, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ხელმძღვანელების, ქალაქთა მერების, სარწმუნოებრივი ჯგუფების ხელმძღვანელების, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებისა და კანადის სხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან.

კანადის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი კოლდუელი, მიესალმება რა პირადად მარშალ ი. ბ. სტალინს და მის სარდლობაში მყოფ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, სწერს: „დაე საბჭოთა არმიის დიდებული მიღწევანი ბრძოლებში იყოს პრელუდია ასეთივე მიღწევებისა გაერთიანებულ ერებთან ომის შემდგომ თანამშრომლობაში“.

კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ხელმძღვანელ ტიმ ბაკის მისასალმებელ წერილში ნათქვამია, რომ „დემოკრატიულად განწყობილი კანადელები ამაყობენ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოსთან კავშირით. კანადა, რომელიც ამაყობს თავისი საკუთარი შვილების გმირობითა და ბრძოლისუნარიანობით, წრფელი და ნამდვილი აღტაცებით შესცქერის შესანიშნავ წვლილს, რაც წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს შეაქვთ ჰიტლერული ფაშისტური გერმანიის არმიის განადგურების საქმეში და იმ სასტიკი ფაშისტური რეაქციის ყველა ძალთა საბოლოოდ და სრული მოსპობის საქმეში, რომელსაც ეს არმია წარმოადგენს“.

კანადის სამხედრო ბეგარის მინისტრი გენერალი ლა-ფლეში თავის მისალმებაში სწერს: „თქვენი არმიების დიდებული წარმატებანი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს. ჩვენ სავსებით ვაფასებთ უდიდეს მსხვერპლსა და გაჭირვებას, რასაც ესოდენი მამაცობითა და გაბედულებით იტანს თქვენი დიდი ქვეყნის ხალხი“.

# მოსკოვის ამბები

**(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)**

## სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ჩვენება

მოსკოვში დიდი წარმატებით ჩაიარა სახელოსნო, სარკინიგზო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების სრულიად-საკავშირო ჩვენებამ. ნაჩვენები იყო ნორჩ მომღერალთა, წამკითხველთა, მოცეკვავეთა და აკრობატთა მიღწევები. მოხდენილად გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის კოლექტივი, რომელმაც კარგად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები.

## გ. პოპოვის „ძლევის კანტატა“

ოქტომბრის 27-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სადღესასწაულო პროგრამად პირველად შესრულდება კომპოზიტორ გაბრიელ პოპოვის ახალი ნაწარმოები „ძლევის კანტატა“. ეს კანტატა, რომელიც დაწერილია ეპიკური რუსული სტილით, მიძღვნილია წითელი არმიის საგმირო საქმეებისადმი.

## პიესა „ბაგრატიონი“ მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის ახლანდელ სეზონში ნაჩვენები იქნება გიორგი მდივნის პიესა „ბაგრატიონი“. სახელოვანი მხედართმთავრის როლს შეასრულებს რსფსრ დამსახურებული არტისტი მორდვინოვი.



აღმოსავლეთ პრუსიაში. საბჭოთა მძიმე არტილერიის გავლა გერმანიის ქალაქ შირვინდტის ქუჩებში. ფოტო ფ. კისლოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

**„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი ექვს გვერდზე გამოდის. შემდეგი ნომერი გამოვა 10 ნოემბერს.**

# დ ე პ ე შ ე ბ ი

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 5 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 5 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია:

ფლისინგენი ამჟამად გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან და მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს წინ ამ ქალაქის ჩრდილოეთით. მოკავშირეთა ჯარების ნაწილები, რომლებიც კუნძულ ვალჰერენის აღმოსავლეთ სანაპიროზე გადასხდნენ, შეუერთდნენ ამ კუნძულის დასავლეთ ნაწილში მყოფ ჯარებს. ჰოლანდიის ტერიტორიაზე დაკავებულია სტეენბერგენი, ნიივ ფოსემეერი და კლადე. მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრე მდინარე მარკზე აუდენბოსის ჩრდილოეთით გაფართოებულია და მოკავშირეთა ჯარები ერთ მილზე იმყოფებიან კლიუნდერტიდან.

4 ნოემბერს დღისით მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები ქალაქ შმიდტის მახლობლად; მოკავშირეები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ეს ქალაქი. მოკავშირეთა ჯარები კვლავ უახლოვდებიან შმიდტს. ამ ქალაქის დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ვსპობთ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს.

4 ნოემბერს დღისით მძიმე ბომბდამშენები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ გერმანიის სამრეწველო ცენტრ ზოლინგენს. საღამოს მძიმე ბომბდამშენთა უაღრესად დიდი შენაერთები კვლავ თავს დაესხნენ გერმანიას. თავდასხმის ძირითადი ობიექტი ამჯერად იყო ბოხუმი რურის ოლქში. საშუალო და მსუბუქმა ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სამხედრო საწყობებზე [illegible] რის მახლობლად.

**ლონდონი**, 6 ნოემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

დასავლეთ ჰოლანდიაში აღნიშნულია მეტად წარმატებითი წინსვლა. მოკავშირეთა ჯარები მდინარე მაასის ხაზს უახლოვდებიან. გაწმენდილია ჰოლანდს დიპის წყლები და ქალაქები გეზდენი, კლუნდერტი და დინტელსოორდი. მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს ეწევიან კუნძულ ტოლენზე და ფილიპსლანდის ყელზე.

კუნძულ ვალჰერენზე აღნიშნულია წინსვლა დომბურგის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარები მიდელბურგის სამხრეთით ათის იარდზე იმყოფებიან.

რკინიგზები ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ჰოლანდიაში გადაჭრილია. სამხრეთ-აღმოსავლეთ ჰოლანდიაში მძიმე ბრძოლები გრძელდება მეეიელის რაიონში.

მოკავშირეთა ჯარებმა დასძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს გიურტჰენის ტყის რაიონში. რაინის ოლქის რამდენიმე ადგილას გადაჭრილია რკინიგზები. მდინარე მოზელის ხეობაში მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი ბერგი და გადალახეს მდინარე 8 მილზე ტიონვილის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამხრეთით მოკავშირეთა ჯარები კვლავ ავითარებდნენ შეტევას ბაკარის რაიონში.

მოკავშირეთა ავიაცია გააფთრებით ესხმოდა თავს მოწინააღმდეგის ობიექტებს გერმანიასა და ჰოლანდიაში.

## საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე

**ლონდონი**, 5 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებულ ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მოკავშირეთა ჯარების ოპერაციები პატრულთა მოქმედებით განისაზღვრებოდა.

გუშინ ბომბდამშენთა შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს ესხმოდნენ მტრის ობიექტებს სამხრეთ-დასავლეთ გერმანიასა, ავსტრიასა და იუგოსლავიაში.

**ლონდონი**, 6 ნოემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში ამინდის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მე-5 და მე-8 არმიის პატრულების მოქმედება ფრიად აქტიური იყო. მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე გაიუმჯობესეს პოზიციები.

ამ უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ხომალდები კვლავ უშენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს საფრანგეთ-იტალიის საზღვრის ახლოს.

5 ნოემბერს მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ ნავთსაწმენდ ქარხანას ავსტრიაში. სხვა თვითმფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის ობიექტები იუგოსლავიაში, ბრენერის უღელტეხილზე, აგრეთვე მოწინააღმდეგის გემები ფიუმეს ნავსადგურში და დალმაციის ნაპირებთან.

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

**ლონდონი**, 5 ნოემბერი. (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ 4 ნოემბერს ღამით 1.000-ზე მეტი თვითმფრინავი თავს დაესხა გერმანიას. იერიშის ძირითადი ობიექტი იყო ბოხუმი, რომელმაც გააფთრებული დაბომბვა განიცადა. გაჩნდა დიდი ხანძრები. თავს დაესხნენ აგრეთვე ჰანოვერს და სხვა პუნქტებს დასავლეთ გერმანიაში.

## მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები გერმანიაზე

**ლონდონი**, 6 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ 1.200-ზე მეტმა მძიმე ბომბდამშენმა, რომლებსაც 650 ავიაგამანადგურებელი იფარავდა, მოახდინა თავდასხმები რკინიგზის დეპოებზე ფრანკფურტში, კარლსრუესა და ლუდვიგსჰაფენში. ინგლისის ბომბდამშენებმა ახალი თავდასხმა მოახდინეს გერმანიის სამრეწველო ქალაქ ზოლინგენზე.

## იუგოსლაველთა ნაწილებმა დაიკავეს ნავსადგური შიბენიკი

**ბელგრადი**, 5 ნოემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბი იუწყება, რომ დალმაციაში იუგოსლაველთა ნაწილები განაგრძობდნენ ტერიტორიის გაწმენდას მოწინააღმდეგისაგან და მრავალი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ნავსადგური და სამხედრო-საზღვაო ბაზა შიბენიკი. შიბენიკის დაკავებით მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ადრიატიკის ზღვის სანაპირო 400 კილომეტრ მანძილზე.

## შესდგა რუმინეთის ახალი მთავრობა

**ბუქარესტი**, 4 ნოემბერი. (საკდესი). ახალი მთავრობა ჩამოყალიბებულია შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი და სამხედრო მინისტრი — სანატესკუ, პრემიერ-მინისტრის მოადგილე — პეტრე გროზა, შინაგან საქმეთა მინისტრი—სტენესკუ (ნაციონალ-ცარანისტი), საგარეო საქმეთა — ვიშოიანუ (უპარტიო), სახალხო განათლების — ვოიტეკი (სოციალ-დემოკრატი), სოციალური უზრუნველყოფის—რადაჩანუ (სოციალ-დემოკრატი), იუსტიციის —პატრაშკანუ (კომუნისტი), ფინანსთა — რომნიჩანუ (ლიბერალი), ჯანმრთელობის დაცვის — პროფესორი დანიელოპოლი (ლიბერალი), საზოგადოებრივ სამუშაოთა — სოლომონი (ნაციონალ-ცარანისტი), შრომის — ნიკოლაუ (პროფკავშირთაგან), ნაციონალურ უმცირესობათა—პროფესორი ვლადესკუ-რაკოსა („პატრიოტთა კავშირი“), სახალხო მეურნეობის —ლეუკუცია (ნაციონალ-ცარანისტი), გზათა — გეორგიუ-დეჟი (კომუნისტი), მიწათმოქმედების —პროფესორი ხუდიცა (ნაციონალ-ცარანისტი), კულტურისა და ხელოვნებათა — ხიცა პოპი (ნაციონალ-ცარანისტი), სამხედრო მრეწველობის—ბებე ბრატიანუ (ლიბერალი), კოოპერაციის — ფოტინო (ლიბერალი).

## საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის კონგრესზე

**ლონდონი**, 6 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შესახებ. რეზოლუციით განზრახულია ლონდონში შეიქმნას „მეგობრობის სახლი“, რომელიც ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის საქმიანობის ნაციონალური ცენტრი იქნება.

## სახსრების შეგროვება ირანში გენერალ ბაგრამიანის სახელობის სატანკო კოლონისათვის

**თეირანი**, 4 ნოემბერი. (საკდესი). გორგანის პროვინციის სომხები განაგრძობენ სახსრების შეგროვებას გენერალ ბაგრამიანის სახელობის სატანკო კოლონისათვის. 25 ოქტომბრისათვის მათ დამატებით შეიტანეს 75 ათასი რიალი. პროვინციაში შეგროვებული სახსრების საერთო თანხამ 128 ათას რიალს მიაღწია.

## თეირანში გაიხსნა საბჭოთა ფოტოგამოფენა

**თეირანი**, 4 ნოემბერი. (საკდესი). თეირანში კულტურის საბჭოთა სახლში გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელიც გვიჩვენებს ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ჩადენილ ნგრევასა და მხეცობას.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ თეირანის პრესის წარმომადგენლები.

## დაძაბული მდგომარეობა ბუდაპეშტში

**ლონდონი**, 6 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, სალაშის „მთავრობის“ ბევრი წევრი ბუდაპეშტიდან გაიქცა. სწარმოებს უნგრეთის დედაქალაქის სასწრაფო ევაკუაცია. ქალაქში შეიარაღებული შეტაკებანი ხდება გერმანელთა ნაწილებსა და უნგრელ ჯარისკაცთა შორის, რომელთაც ომი არა სურთ. გერმანელები სასწრაფოდ აგებენ ბარიკადებს ბუდაპეშტის ქუჩებში და წინააღმდეგობის კვანძებად აქცევენ დიდ შენობებს.

## თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

სახელმწიფო ოპერა — 7/XI — „პატარა კახი“. 8/XI — დღისით—„ქეთო და კოტე“, საღამოს — „დონ-კიხოტი“. რუსთაველის სახელობის — 7/XI — „კიკვიძე“, 8/XI — დღისით — „კიკვიძე“, საღამოს — „ირმის ხევი“. მარჯანიშვილის სახელობის — 7/XI — „ქამთაბერის ასული“. 8/XI — დღისით და საღამოს — „ჰირვეული ცოლის მორჯულება“. მუსიკალური კომედიის — 7/XI — „ოქროს გასაღები“, 8/XI — დღისით და საღამოს—„მზის დაბნელება“. სანკულტურის— 7/XI—„სტუმარ-მასპინძლობა“, 8/XI—„უნიადაგონი“. მოზარდ მაყურებელთა ქართული — 7 და 8/XI — „გაიდარი“.

## კ ი ნ ო ე ბ შ ი

რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — 7 და 8/XI — „ზოია“, დამკვრელი—„ბრძოლა რუსეთისათვის“, კომკავშირელი — „მაშენკა“, სპარტაკი — „ვოლგა-ვოლგა“, ლუქსემბურგის სახელობის — „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“, 26 კომისრის სახელობის — „გიორგი სააკაძე“ (1-ლი სერია), მეცნიერება და ცოდნა — „მარტი-აპრილი“, პლეხანოვის სახელობის კლუბი — „ბრძოლა საბჭოთა უკრაინისათვის“. ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „ლენინი ოქტომბერში“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 08125